ISSN 1987-5355
#57
2016
June, July, August

# სტილი

არქიტექტურა ინტერიერი დიზაინი



# STYLE

ARCHITECTURE INTERIOR DESIGN


CAPAROL
ფასადის დათბუნების სისტემები
შეამცირეთ დანახარჯი 40%-ით გათბობასა და გაგრილებაზე.
შეინარჩუნეთ ჯანსაღი მიკროკლიმატი მთელი წლის განმავლობაში.
დაიცავით სახლი დაზიანებისაგან.
თბილი. ლამაზი. ძლიერი.
www.caparol.ge


JUNG
insta
JUNG

# AAG

Association of Architects of Georgia
საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია

**გამომცემელი** - საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია
**მთავარი რედაქტორი** - ნინო ლაღიძე
**ინფორმაცია** - ნინო ლაღიძე, დიმიტრი გელოვანი.
**თარგმანი** - ნატა კურტანიძე
**კომპიუტერული დიზაინი** - თამაზ ჩხაიძე
**რეკლამა** - შ.პ.ს. სტილი, დირექტორი ეკატერინე ჯავახიშვილი

**PUBLISHER - ASSOCIATION OF ARCHITECTS OF GEORGIA**
**CHIEF EDITOR -** Nino Laghidze
**INFORMATION -** Nino Laghidze, Dimitri Gelovani.
**TRANSLATION -** Nata Kurtanidze
**COMPUTER GRAPHIC -** Tamaz Chkhaidze
**ADVERTISEMENT -** STYLE Ltd. Director Ekaterine Javakhishvili

www.archias.ge

0186 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #70ა
მობ: 593 42-74-73; 599 10-56-03; 558 28-29-30

70a Vaja-Pshavela ave, 0186 Tbilisi, Georgia.
Mob: (+995) 593 42-74-73; (+995) 599 10-56-03; (+995) 558 28-29-30
http://www.archias.ge
http://www.archiaward.com
E-mail: laghidze.n@gmail.com

**სარეკლამო ტექსტის შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს**

## არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია და ჟურნალი "სტილი" აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს მიერ რეალიზებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი "სტილის" მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

ჟურნალის რედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

დაზუსტდეს თანაავტორთა ვინაობა!


ფორუმი
განათება ავეჯი აქსესუარები
VIBIA
Vistosi
LUCE PLAN
PROLICHT
KOLARZ
EGLO
linea light
PHILIPS
DELTALIGHT
fumagalli
Artemide
www.newlight.ge

# www. archias.ge



მზადდება წიგნის მეორე ნაწილი

გამოცემაში მონაწილეობის მსურველებს
დაგვიკავშირდით

e-mail: laghidze.n@gmail.com

„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია“ და ჟურნალი STYLE -ს ეგიდით გამოიცა წიგნი - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები". გამოცემა გაყიდვაშია თბილისის წიგნის მაღაზიებში.

წიგნის - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" - გამოცემა, პროექტის პირველი ეტაპია.

დაწყებულია წიგნის II ნაწილზე მუშაობა. დაგეგმილი გვაქვს, იგი, კვლავ საინტერესოდ განვავრცოდ, მითუმეტეს, რომ ინტერესი პროფესიონალების მხრიდან მზარდია.

დაგვიკავშირდით მისამართზე:
ვაჟა-ფშაველას გამზ. 70ა
მობ: +995 593 42 74 73
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” - Book

Project organizers: STYLE Magazine, Association of Architects of Georgia

“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” is only the beginning of our project. We started work on the second volume of the book, in which we hope to further explore the past and present of Georgian art, especially considering that the professionals already start to show increasing interest toward our activity.

please contact us at the following address:
70a Vaja-Pshavela ave., Tbilisi, Georgia;
Mobile: +995 593-427473
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

Mob. +995 593 42-74-73; +995 599 10-56-03


aquanit
Tiles fell into place.
Aquanit
Shower Tile
aquanit.com.tr
seranitgroup
seranitgroup.com.tr
seranitgroup

# სარჩევი
# Content




**ქალაქი**
**CITY**
საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ცენტრალურ უბნებში საცხოვრებელ სახლებზე კ2 კოეფიციენტის გადამეტებაზე შეზღუდვა დამტკიცდა 15



მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლება 18



სივრცე "უნივერსიტეტი", ქალაქის ცენტრის ურბანული ფორტიფიკაციის სისტემის ერთი შემადგენელი 20



ღია არქიტექტურული კონკურსი 28



გუდიაშვილის მოედნის პროექტების პრეზენტაცია
Reconstruction of Historic Gudiashvili Square 32



ხსოვნა, როგორც სიცოცხლის გაგრძელება 34



ყოფილი უნივერმაღ "თბილისის" რეკონსტრუქციის თაობაზე 38



ინოვაცია ავტოპარკირების შესახებ 40



**სახლი**
**HOUSE**
ვიზიტორთა ცენტრი
Visitors Centre 43



სასტუმრო რიქსოსი
Rixos Hotel Borjomi 46



კერძო სახლი
Family House 50





LTB
www.ltb.ge
შპს „ლთბ“
tel: 2 60 71 61/62/63
www.facebook.com/furnitura

# CLEAF è CLEAF

კომპანია **CLEAF** s.p.a არის ლიდერი მსოფლიო ბაზარზე და ავეჯის ზედაპირების გაფორმების ახალი ტენდენციებისა და ფერთა ფართო გამის შემოთავაზების კუთხით.

ეს "ტიპი" **CLEAF** s.p.a-ს განსხვავებულ ფიზიკური მრავალფეროვანი ასორტიმენტის ახალი კოლექციით.



წლიური ფერის ახალი სტრუქტურის შთაგონებით კომპანიამ შემოგვთავაზა ახალი სტრუქტურა **Millennium**, რომელიც გამოირჩევა წლიური ფერის მსგავსი ბუნებით, ფაქტურა და ელფერის კომბინაციით. წლიური ფერის ასეთი განსაკუთრებით აქცენტს წარმოადგენს ბუნებრივი ხის ტექსტურის ნიმუში.

2016 წლის აპრილში, მილანში ჩატარებული უმსხვილესი ავეჯის გამოფენა **Salone del Mobile** და **Eurocucina**-ს ფარგლებში კომპანიამ მიაწოდა ინოვაციური დიზაინერების მიერ შექმნილი ფერებისა სტრუქტურის თავისებური ხასიათი, რისი თავისუფლებაც ბუნების ხელოვნება არის. რომ არ დაკარგოს ბუნებრივი ფერები და კომბინირებულ ხელოვნება ფერის და სტრუქტურის შესაძლებლობა .

[illegible] E1*, CE** [illegible]
FSC*** [illegible]

[illegible]

[illegible] CLEAF [illegible] Millennium [illegible]




www.ltb.ge

[illegible]

[illegible] 266 71 61/62/63
[illegible] 591 96 33 92
email: shop4@ltb.ge
ltb@ltb.ge; hotline@ltb.ge
www.facebook.com/furnitura

[illegible]

# სარჩევი
# Content




საოფისე შენობა
Office Building 54



უცხოური არქიტექტურა
FOREIGN ARCHITECTURE

ზაჰა ჰადიდი
Zaha Hadid 58



Chillr -
Project story 64



Art, Books & a home
for 3 68



ინტერიერი
INTERIOR

კომფორტი სიმყუდროვეში
Comfort in Coziness 74



პაულანერის ფან კლუბი
Paulaner Fan Club 80



არქიტექტურული
ფიგურის კონცეფცია 84



ვერნისაჟი
VERNISAGE

"ARTINDUSTRIA" Craft &
Design Fair 86



ინოვაცია
არქიტექტურაში 2016
Innovation in
Architecture 2016 90



საერთაშორისო არტ
სოფელი უწერა
The International Arts
Village Utsera 2015
Project 94



სხვადასხვა ქვეყნის ოთხი
არტისტის ერთობლივი
გამოფენები
International Art Exhibitions
of four artists from
different countries 98



გახსენება
REMEMBER

ქეთევან კობახიძე
Ketevan Kobakhidze 100






*The Perfect Location*
*For Your Perfect Day*

GARDEN HALL





email: info@meidan.ge tel. +995 591 933330







# ღია მოლი




Garden Hall
ღია ცის თეატრი


www.archias.ge
AAG
STYLE
STYLE
www.archias.ge
593 427 473

# საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ცენტრალურ უბნებში საცხოვრებელ სახლებზე კ2 კოეფიციენტის გადამეტებაზე შეზღუდვა დამტკიცდა

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რიგგარეშე სხდომა გაიმართა.

საკრებულოს წევრებმა თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესში შესატანი ცვლილებების პროექტზე იმსჯელეს, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სს(ი)პ არქიტექტურის სამსახურის უფროსმა წარმოადგინა.

დიმიტრი მოსულიშვილმა წესში შესატან ცვლილებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დოკუმენტის თანახმად, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში საცხოვრებელ სახლებზე კ2 კოეფიციენტის გადამეტებასთან დაკავშირებით დროებითი შეზღუდვა დაწესდება.

წარმოდგენილი ცვლილებებით, თბილისის ცენტრალურ ნაწილში საჯარო სივრცეების შენარჩუნების მიზნით, საცხოვრებელ სახლებზე კ2 კოეფიციენტის გადამეტება აღარ მოხდება, ასევე გამწვანებულ ტერიტორიებზე შეიზღუდება განაშენიანების პროცესი. დედაქალაქის გარეუბნებს რაც შეეხება, დროებითი შეზღუდვა მათ არ შეეხება, რათა გარეუბნებს განვითარების საშუალება მიეცეს.

წესში შესატანი ცვლილებები გარდამავალი პერიოდის ღონისძიებაა და საბოლოო პოლიტიკის შემუშავებამდე მას მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე მომუშავე გუნდი შეასრულებს.

რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ტყემალაძემ აღნიშნულ პროექტში საკრებულოს შესაბამისი კომისიების მიერ შეტანილი დამატებითი ცვლილებები დეტალურად წარმოადგინა, რის შემდეგაც საკრებულოს წევრებმა აღნიშნულ საკითხს მხარი დაუჭირეს.

“დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე იმსჯელეს და განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების პროექტები განიხილეს.

სხდომას დედქალაქის მერის მოადგილე გიორგი ლილუაშვილი, თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებისა და სს(ი)პ-ების წარმომადგენლები, ასევე არქიტექტორები ესწრებოდნენ.








Territorial-structural zoning project map




# Steps to be Taken Against Chaotic Development of Tbilisi

To avoid further chaotic development of the central and historical parts of the Tbilisi and in connection with increase of K2 construction intensity coefficient for residential houses, temporary restrictions will be enforced in the densely populated central districts of the city.

According to Tbilisi City Hall and Department of Architecture, increase of K2 coefficient on residential houses prior to development of Tbilisi land use master plan will be restricted. Final version of this master plan will incorporate efficient urban development regulations, which will enable municipal authorities to resolve the issue of chaotic construction in Tbilisi.

The temporary restriction will not cover the city outskirts, so that their development is not hindered. However, possibilities of construction on the territory of parks and gardens existing in residential zones, will be restricted in all parts of the city.

“The key priority of Tbilisi authorities is green development of the city. Very specific measures will be applied to realize this goal. Development of target districts will incorporate construction regulation plans, which is still another important preventive step against chaotic construction in Tbilisi,” - said Dimitri Mosulishvili.

Tbilisi image development regulations will be also updated. According to David Narmania, the government will try to stimulate construction of green roofs and terraces. Uniform standards will be introduced in order to ensure compliance of new constructions with the general concept.

“Construction of green roofs should be promoted throughout the city. Uniform standards will be introduced to ensure homogeneity of vistas and eliminate deviations from the general concept,” said Mayor of Tbilisi.

Note: restriction on K2 construction intensity coefficient overruns will cover the central and transitional zones indicated on the map.











# მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლება

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებასთან დაკავშირებით 6 თვის განმავლობაში გაწეული სამუშაოებისანგარიში მოისმინეს.

პრეზენტაციის დაწყებამდე დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ გენერალური გეგმის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ 6 თვის განმავლობაში ყველა იმ ძირითადი საკითხის დეტალურად შესწავლა მოხდა, რაც შემდგომში სხვადასხვა მიმართულებებისკონკრეტული რეგულაციების მომზადებას შეუწყობს ხელს. ასევე პრეზენტაციის დაწყებამდე თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა დიმიტრი მოსულიშვილმა ისაუბრა ქალაქის განვითარების მიმართულებით მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებასთან დაკავშირებულ სამუშაოების მიმდინარეობაზე და მათ მნიშვნელობაზე.

პრეზენტაცია პროექტის თანახელმძღვანელმა, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე მომუშავე ჯგუფის „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ წევრმა, ქალაქმგეგმარებელმა მერაბ ბოლქვაძემ წარმოადგინა. იმავე დროს, ქალაქგანვითარების სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით, შესაბამისი ანგარიშები წარმოადგინეს პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრებმა: ურბანისტებმა იოსებ სალუქვაძემ და ლადო ვარდოსანიძემ, ეკონომისტმა ზვიად არჩუაძემ, ეკოლო-













გმა ჭიჭიკო ჯანელიძემ და სხვ. მათი განცხადებით, წინასაპროექტო კვლევის შედეგად, ქალაქის მიმდინარე საჭიროებები გამოიკვეთა დაგეგმარებითი დავალების პროექტისა და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონცეფციის დაზუსტების პროცესი დასრულდა.

შეხვედრა კითხვა - პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა განაცხადა, საკრებულოში წარმოდგენილი შუალედური ანგარიში ქალაქში არსებულ მდგომარეობას, როგორც ეკოლოგიური კუთხით, ასევე ტრანსპორტისა და ფუნქციური ზონების მიმართულებებით ზუსტად ასახავს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს მიერ მიღებული დროებითი რეგულაციების შესახებ ისაუბრა, რომელიც თბილისის ცენტრალურ უბნებში საცხოვრებელ სახლებზე კ2 კოეფიციენტის გადამეტებაზე შეზღუდვას გულისხმობს და აღნიშნა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შემდეგ, უბნების მიხედვით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტები განისაზღვრება, რაც კონკრეტულ გაანგარიშებებზე იქნება დაფუძნებული.

დედაქალაქის მერთან დავით ნარმანიასთან და საკრებულოს წევრებთან ერთად შეხვედრას მერის მოადგილე გიორგი ლილუაშვილი, არქიტექტორები, ურბანისტები და დეველოპერები ესწრებოდნენ.

თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული კონსორციუმი „მომავლის ქალაქი“ მუშაობს.

საკონკურსო პირობების მიხედვით, განახლებული დოკუმენტის წარმოდგენის საბოლოო ვადა 2017 წლის 17 აპრილია.





# სივრცე "უნივერსიტეტი", ქალაქის ცენტრის ურბანული ფორტიფიკაციის სისტემის ერთი შემადგენელი

*წინამდებარე კონცეფცია არქიტექტორ რევაზ ბაირამაშვილი - თარხნიშვილის მიერ 1967-2000 წლებში დამუშავებული საპროექტო მოსაზრების გაგრძელებაა. ბატონი რეზო თავისი თაობის ერთი გამორჩეული, უნიჭიერესი არქიტექტორი გახლდათ და ჩემთვის დღესაც საამაყოა ის პოზიტიური შეფასება, რომელიც მან გამოხატა ამ ნამუშევრის მიმართ.*

**ადგილმდებარეობა:**
თბილისი, საქართველო
**წარმოდგენის ფორმა:**
თაბაშირის მოდელი



შეზღუდული რესურსის საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფონზე თბილისის ცენტრალურ ნაწილში მოსახლეობის და ადმინისტრაციულ-მმართველობითი ობიექტების კონცენტრაცია ოპტიმალურს შესამჩნევად აღემატება. საზოგადოებრივი სივრცეების მწვავე დეფიციტის პირობებში მათი შემდგომი რაოდენობრივი ზრდა სპეციალისტებისთვის კარგად ნაცნობ რისკებს და საფრთხეებს შეიცავს. ამ რისკების თავიდან აცილების ერთ-ერთი გზა ცენტრის განაპირა უბნების, დეფორმირებული გეგმარებითი ქსოვილის და არქიტექტურულად ნაკლებად ღირებული განაშენიანების მქონე ტერიტორიების მიზანმიმართული, რადიკარული რეკონსტრუქციაა. რეკონსტრუქციის შედეგად ჩამოყალიბებულმა ურბანულმა სისტემამ თავისი მაღალინტენსიური განაშენიანების ხარჯზე შესაძლებელი უნდა გახადოს ქალაქის ისტორიული ნაწილის გეგმარებითი „ტევადობის" ოპტიმიზაცია, თბილისის ისტორიული ზონის და მისი მიმდებარე, XIX საუკუნის პერიოდის უბნებში დაწყებული სანირების პროცესის კომპლექსური, ფართომასშტაბიანი გაგრძელება, დამატებითი საზოგადოებრივი სივრცეების ორგანიზება, ამ არეალში საქალაქო მნიშვნელობის მაგისტრალურ ქუჩებზე მოძრაობის შემაფერხებელი ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანა.

სისტემის - ერთგვარი ურბანული ფორტიფიკაციის თითოეული ელემენტის ეკონომიკურმა ეფექტიანობამ, კვადრატულ მეტრებში გამოხატულმა სარეზერვო კაპიტალურმა ფონდმა უნდა შექმნას ქალაქის ბირთვის ურბანულად ფასეული, მჭიდროდ განაშენიანებული უბნების არქიტექტურული ხარისხის, ფუნქციონირების, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მატერიალური წინაპირობა.



* * *

1906 წელს ქალაქის ადმინისტრაციული საზღვრის დასავლეთით, ვარაზისხევის გადაღმა აიგო თანამედროვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათაო კორპუსი. ამ მშენებლობამ მძლავრი იმპულსი მისცა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით განვითა-









რებას. მალე ეს უბანი თბილისის, მოგვიანებით კი მისი ცენტრის ნაწილი გახდა.

ადგილის ტოპოგრაფიის, ასევე სხვა მიზეზთა გამო საუნივერსიტეტო კომპლექსად ქცეულმა ორგანიზმმა ვერ მიიღო ადექვატური შინაარსის, სიდიდის და მნიშვნელობის პრომენადი. მისი აქსისის პომპეზური, გასული საუკუნის 50-ან წლებში აგებული კიბე, ამავე პერიოდში ვარაზისხევზე გაყვანილი მაგისტრალური ქუჩის უკაცრიელ ტროტუართან ასრულებს თავის საფეხურებს. ვიზუალურად ეს ღერძი ამ მაგისტრალის (ყოფილი ხევის) მეორე მხარეს, უნივერსიტეტის მიმართ ფიზიკურად, ფუნქციურად და შინაარსობრივად აშკარად ინდიფერენტულ განაშენიანებას ებჯინება. ადრე აქ ნახევრადგაქალაქებული სოფელი ვერა მდებარეობდა (იგი 1867 წელის მოექცა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში). მისმა დღემდე უცვლელმა შარაგზებმა დროთა განმავლობაში საცხოვრებელი ქუჩების სტატუსი შეიძინეს. უბანი პრესტიჟულ, მოგვიანებით კი, მისი ამ თვისების გამო სპონტანურად განვითარებად, არაერთგვაროვან ურბანულ სივრცედ ჩამოყალიბდა. კონცეპტუალური რეკონსტრუქცია ასევე შეეხო უნივერსიტეტის სამხრეთით მდებარე სამ, შედარებით მოწესრიგებულ, მაგრამ დაბალი არქიტექტურული და გეგმარებითი ხარისხის მქონე საცხოვრებელ კვარტალს.





სარეკონსტრუქციო არეალის დადგენილი გაბარიტი ის ოპტიმუმია, რომელიც უნივერსიტეტის სატრანსპორტო კვანძის პრობლემების მოგვარების შესაძლებლობასაც იძლევა. აქ იგულისხმება როგორც მრავალდონიანი მიწისქვეშა პარკინგის მშენებლობა, ასევე გზაჯვარედინის გახსნა. ამ უკანასკნელის საპროექტო გადაწყვეტა, მიუხედავად მრავალწლიანი მცდელობისა, არსებული განაშენიანების კონტურებში (წითელ ხაზებში) შეუძლებელი აღმოჩნდა.

თბილისის ცენტრის სივრცით-გეგმარებითი ტრანსფორმაციის, ურბანული ფორთიფიკაციის სისტემის წინამდებარე ფრაგმენტი შესაძლოა მისი ქალაქგანვითარების შემდგომ ეტაპად მივიჩნიოთ. შედეგად ვიღებთ:

- უნივერსიტეტისწინა უწყვეტი მოძრაობის გზაჯვარედინს.
- 2400 ადგილს ავტომბილთა მიწისქვეშა პარკირებისთვის.
- 200 000 კვ.მ საცხოვრებელ, კომერციულ, საოფისე ფართს.
- 1,65 ჰა საზოგადოებრივ სივრცეს.

კონცეფციის რეალიზაციისთვის საჭიროა 55 000 კვ.მ ჯამური ფართის საცხოვრებელი შენობების აღება.

არქიტექტორი
პავლე ძინძიბაძე

# University Space, an integral component of city center urban fortification system

**Location:** Tbilisi, Georgia
**To be submitted as:** plaster model





Considering the limits set by the local engineering and transport infrastructure, the concentration of population and administrative establishments in central districts of Tbilisi is significantly higher than normal. Their further increase is connected with risks and dangers well known to relevant experts. One of possible solutions allowing to avoid these risks would be purposeful radical reconstruction of suburbs and areas with deformed and / or low-value architectural development. New, densely developed urban system formed as a result of such reconstruction should make it possible to optimize the planning capacity of the historical part of the city, to continue recovery of ancient Tbilisi and its neighboring 19th century districts, to organize extra public spaces, to reduce potential traffic hazards in the central streets and thoroughfares within this area.

Economic efficiency of each element of this system – an urban fortification of a kind, the reserve capital expressed in square meters, - should contribute to improving the architectural quality of densely developed core districts of the city, their functioning and environment.

* * *

In 1906, Tbilisi State University was built to the west from the administrative border of the city, across Varaziskhevi. This construction gave a strong impulse to development of the city in the north-western direction. The new outgrowth soon merged with Tbilisi and became part of its center.

Specifics of local topography and other reasons prevented the University complex from turning into an adequately sized city promenade. The pompous axial staircase built in the 1950ies descends to the unpeopled sidewalk of Varaziskhevi Street, also built in the same period. Visually, this axis butts against the physically, functionally and contextually indifferent housing development – former Vera town (which was integrated with Tbilisi in 1867). With time, its still deserted walkways transformed into residential streets. The district formed as a spontaneously, desultorily developing upmarket urban space. Conceptual reconstruction also touched three comparatively better organized but low-quality residential districts to the south from the University.

The size of reconstruction area also enables to solve the University traffic junction issues, including construction of a multilevel underground parking lot and of a crossroad. Designing of the latter proved impossible within the current red lines - not for the lack of trying, though.

Planning transformation of Tbilisi center at the present section of urban fortification can be considered as a new stage of its urban development.

The estimated outcomes of this process are:

- Crossroad;
- 2100-place underground parking lot;
- 20000 sq. m. of residential, commercial and office space;
- 1,65 ha of public space.

Realization of this conception requires removal of buildings with a total of 55000 sq. m. of residential space.

PAUL DZINDZIBADZE, ARCHITECT







[illegible]







# ღია არქიტექტურული კონკურსი

2015 წლის 4 დეკემბერს გამოცხადდა კონკურსი ქ. თბილისში, ვარაზისხევისა და მელიქიშვილის ქუჩის კვეთაზე ასაშენებელი Luxury ტიპის მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობის ესკიზურ პროექტზე.

კონკურსის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ღია შემოქმედებითი პაექრობის გზით, შესაბამისი „პროგრამა-პირობებით" განსაზღვრული საკონკურსო ტერიტორიისთვის სივრცით-კომპოზიციური და ესთეტიური გადაწყვეტის მიღება და ამ გადაწყვეტის კონტექსტში, პრაქტიკულ შედეგებზე ორიენტირებული, საკონკურსო არეალზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობის საუკეთესო პროექტების გამოვლენა.

კონკურსის ორგანიზატორები: შპს "იდეა სითი", შპს " იდეა მელიქიშვილი" და „საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია"

საკონკურსო პროექტების ატვირთვა შესაძლებელი იყო 2016 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

ჟიური ნამუშევრებს აფასებდა 2016 წლის 19 თებერვლამდე.

კოდირებული საკონკურსო პროექტების ავტორთა (ან ავტორთა ჯგუფის) ვინაობა საზოგადოებისთვის და ჟიურის წევრებისთვის ცნობილი გახდა ჟიურის შეფასების დასრულების შემდგომ.

კონკურსის ჟიურის შემადგენლობის და მუშაობის წესი განისაზღვრა კონკურსის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით:

არქიტექტორები: გაგა კიკნაძე, ირინა საბაშვილი, ზაქარია ქურდიანი, დავით აბულაძე, ვასილ ქობულია, მიხეილ ბალიაშვილი, ნინო ლაღიძე, ნინო გამცემლიძე (შპს "იდეა სითის" წარმომადგენელი);

ასევე: მიწის ნაკვეთის ყოფილი მესაკუთრეების (იგივე მომავალი მაცხოვრებლების) წარმომადგენელი - ელენე ჭიჭინაძე, "პროექტის მფლობელის/ინვესტორის" წარმომადგენელი - რამაზ მიქაძე.

კონკურსის საპრიზო ფონდი შეადგენდა 48 000 ლარს, რომელიც თანაბრად გადანაწილდა ჟიურის მის მიერ შერჩეულ სამ საუკეთესო ავტორზე(ავტორთა ჯგუფზე).

2016 წლის 20 თებერვალს, გამარჯვებული პროექტები დასახელდა. ღია არქიტექტურულ კონკურსში გამარჯვებული და ასევე კონკურსის სხვა პროექტების პრეზენტაცია მოეწყო „ღვინის ქარხანა №1"-ში, ტერასაზე. წარმოგიდგენთ სამ საუკეთესო პროექტს და მათ ავტორებს:

№223 - მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობა. ავტორები: ლუკა ჩაგანავა, ნინო ჭანტურია, მარიამ ქარჩხაძე.





№232 - მრავალფუნქციური კომპლექსი მელიქიშვილის ქუჩაზე. ავტორები: გიორგი მაისურაძე, თორნიკე სამხარაძე, ნიკოლოზ ქსოვრელი, ალექსანდრე ჩიკვაიძე, დავით რუსიტაშვილი. შპს. „არტსტუდიო პროექტი“















№219 - მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობის ესკიზური პროექტი. ავტორები: შალვა მიქელაძე, დავით ჭკუასელი. შპს. „ეი ბი 5“

















# გუდიაშვილის მოედნის პროექტების პრეზენტაცია

თბილისის მერიის და თბილისის განვითარების ფონდის ორგანიზებით, ლადო გუდიაშვილის სახელობის მოედნის საერთაშორისო არქიტექტურულ კონკურსში გამარჯვებული პროექტების პრეზენტაცია მოეწყო. „ღვინის ქარხანა №1“-ში გამართულ ღონისძიებას თბილისის მერი დავით ნარმანია დაესწრო, საზოგადოებას სიტყვით მიმართა და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

დავით ნარმანიას განცხადებით, მისი წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად, პროექტთან დაკავშირებული პროცესები მაქსიმალურად ღიად, გამჭვირვალედ და საზოგადოების ჩართულობით მიმდინარეობს.

„საერთაშორისო კონკურსის გზით შეირჩა წარმოდგენილი პროექტებიდან საუკეთესო, შესაბამისად, ეს საშუალებას მოგვცემს, რომ პროექტები კულტურული მემკვიდრეობის წესების დაცვით განხორციელდეს, რაც მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისთვის და მეორეს მხრივ, ამ ტერიტორიის მიმზიდველობის გაზრდისთვის, ვინაიდან, ეს ტურისტული თვალსაზრისითაც არის ძალიან საინტერესო. პროექტის განხორციელება მოგვცემს საშუალებას, რომ ამ ტერიტორიის მიმზიდველობა კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც იქნება,“- განაცხადა თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ.

საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსი თბილისის განვითარების მიერ 2016 წლის 25 თებერვალს გამოცხადდა და მისი მიზანი იყო გუდიაშვილის მოედანზე - გია აბესაძის ქ. 23/1, აბო თბილელის ქ. 3/8 და აბო თბილელის №3 - ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეკონსტრუქციის და ისტორიულ გარემოსთან ადაპტირებული თანამედროვე შენობის საუკეთესო საპროექტო წინადადების გამოვლენა.

აბო თბილელის №3/8-სა და №3-ში გაიმარჯვა "ატელიერ არქიტეტქს"-მა - რატი ჩომახიძემ და ვახტანგ კასრელიშვილმა, ხოლო გია აბესაძის ქ. №23/1-ში საუკეთესო პროექტი არქიტექტორთა ჯგუფმა : დავით ავალიშვილმა, ნიკოლოზ მჭედლიძემ და ლევან კალანდარიშვილმა წარმოადგინა. გამარჯვებულები დავით ნარმანიამ საპატიო სიგელებით დააჯილდოვა.

კონკურსის შედეგად, მომზადდა ისეთი პროექტები, რომლებიც თავისი ფუნქციით, ფორმებით და მასშტაბით გუდიაშვილის მოედნის განაშენიანების შესატყვისია. პროექტების მიხედვით, გუდიაშვილის მოედანზე შეიქმნება ახალი, თანამედროვე არქიტექტურული ნიმუშები, რომლებსაც კულტურული და საზოგადოებრივი ფუნქციური დატვირთვა ექნება.

ახალი თანამედროვე შენობები, ხელს შეუწყობს ისტორიული უბნის განვითარებას, ახალი ტურისტული ნაკადების გაჩენას და გუდიაშვილის მოედნის არეალის გამოცოცხლებას.

საკონკურსო წინადადების მიხედვით, გია აბესაძის ქუჩა №23/1 - ში მოეწყობა გალერეა, ხოლო აბო თბილელის ქ.3/8-სა და აბო თბილელის ქ.3-ში სასტუმროს, კაფე-ბარის, პარკინგის და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვადასხვა სივრცეები განთავსდება.

ღონისძიებაზე, ასევე, წარმოდგენილი იყო კონკურსში მონაწილე 21 არქიტექტურული ნამუშევარი. პროექტების პრეზენტაციას თბილისის მერთან ერთად, ვიცე-მერი ლაშა აბაშიძე და მერის მოადგილე ნინა ხატისკაცი, თბილისის განვითარების ფონდის დირექტორი გიორგი ბაიდარაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, საკრებულოს წევრები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე, სპეციალისტები და პროექტის ავტორები ესწრებოდნენ.













# Reconstruction of Historic Gudiashvili Square

Tbilisi City Hall and the Tbilisi Development Fund is continuing reconstruction of the Old Town. Following the David the Builder (Agmashenebeli) Avenue and Dry Bridge surrounding area, governors now plan to bring a new look to Gudiashvili Square in Sololaki. In the first phase only two buildings will be reconstructed. However, City Hall says it is ready to restore all the houses there.

Two months ago, the Tbilisi Development Fund announced a tender for the restoration of two houses on Abo Tbileli and Gia Abesadze streets adjacent to Gudiashvili Square. As a result, two winners were revealed from 21 projects. According to the winning project, soon the historic city center will get a new two-floor building with office space and a gallery, and a three-floor hotel with a cafe and bar. Tbilisi Development Fund said that there would also be place for parking near the Square.

“One of the main criteria from City Hall was to create a synthesis of old and new for the city,” said #ikolo Mchedlidze, architect of the winning project. “There are a lot of old houses from the 18th and 19th century, a lot of monuments of cultural heritage, so we had to solve a rather complicated task to synthesize a modern house on the site of a demolished one.”

Tbilisi City Hall pointed out that the project made sure to involve a large number of institutions and experts – architects, art historians, and restoration experts, so that reconstruction works would not damage the cultural part of the city. On the contrary, City Hall says, it is expected that after completion of the work, Gudiashvili Square will become a lively hotspot for tourists.

City Hall and the Tbilisi Development Fund will announce a tender for the restoration of the other houses on the Square in the near future.





# ხსოვნა, როგორც სიცოცხლის გაგრძელება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზ "უნივერსში" რუსთაველის პრემიის ლაურეატმა არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ წარმოადგინა "ხსოვნის მემორიალის" იდეა-პროექტი. პრეზენტაციამ, რომელსაც ესწრებოდნენ ქართული არქიტექტურული სკოლების სტუდენტები, მაგისტრანტები, პროფესორ-მასწავლებლები, მხატვრები, მოქანდაკეები, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

ერის ინტელექტის, კულტურის ერთ-ერთი მაჩვენებელია მისი დამოკიდებულება ადამიანების, ისტორიის ხსოვნისადმი. ხსოვნის ტრადიციის და კულტურის არქონას ქართველ ერს ვერავინ ვერ დასწამებს. ის ჩვენს გენეტიკაშია.

პირადად მე, ალბათ ათეული ათასობით ადამიანს, სირცხვილის გრძნობა მეუფლება, როდესაც დიდი ქვეყნის უმაღლესი პირი და დელეგაციები მიდიან გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივის მისაგებად. მემორიალის არც ადგილი, არც მხატვრული სახე არ პასუხობს მის განსაკუთრებულ დანიშნულებას, არ გააჩნია აუცილებელი ემოციური მუხტი. ის ფაქტობრივად ქვის დიდი სტენდია. ავტორიტარიზმის პერიოდში ესპანელ არქიტექტორს ა.დ.კაბოს გმირთა მოედანზე, ესტაკადებში, ხსოვნის ობელისკი ჩაადგმევინეს, თურმე დაღუპულთა გვარებიც აწერია. ობელისკთან არა თუ რიტუალის ჩატარება, არამედ მისვლაც კი სიცოცხლისთვის სახიფათოა, ამიტომაც იქ დღემდე ადამიანი არავის უნახავს. ერთ “მოედანზე” არის ორი მემორიალი – ერთი უსახური, მეორე გაუგებარი.

ადგილს, გმირთა მოედნის კუთხეში, სადაც ამჟამად მდებარეობს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა მემორიალური კედელი, განვითარებისა და მხატვრული სრულყოფის არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია. ის ერთნიშნად არამემორიალური ადგილია.

მემორიალისათვის საუკეთესო ადგილად მიმაჩნია “მზიურში” ვაკის რაიონის პოლიციაზე დამაგრებული ტერიტორია. შესაძლებელია შენობის რეკონსტრუქცია-გაფართოება-გარდასახვა “ხსოვნის ტაძრად”, რომელიც საუკუნეებს “შეუნახავს” არა მხოლოდ უახლესი პერიოდის ტრაგიკულ მოვლენებს – აფხაზეთში და სამაჩაბლოში დაღუპულთა ხსოვნას, არამედ ყველას ხსოვნას ვინც ქვეყნის ინტერესების მსახურებას შეეწირა, მათ შორის ტაბახმელას, 9 მარტის, 9 აპრილის, ავლანელების, მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელების ხსოვნას. “ხსოვნის ტაძარში” ღირსეულად უნდა იყოს დავანებული ყველა სახელი და ისტორიული ფაქტი. გმირები იმსახურებენ იმას, რომ მათი ხსოვნა კედელზე გვარებისა და ინიციალების აღვნიშნით არ შემოიფარგლოს.

რეკრეაციულ სივრცეს თავისი არსით, თუ რომელიმე საზოგადოებრივი ფუნქცია მიესადაგება, ეს სწორედ ხსოვნის მემორიალია. ტერიტორია შეიძლება იქცეს “ხსოვნის პარკად” – იმავდროულად სარეკრეაციოს სივრცის ნაწილად.

თუ ბოლომდე გულწრფელი ვიქნებით, პოლიციასაც უნდა აწყობდეს სხვა რეზიდენცია. არსებული ადგილი თვალშისაცემია, შენობა გამაღიზიანებლად დომინირებს გარემოზე.





## ხსოვნის მემორიალის პროექტის შესახებ

მემორიალური კომპლექსი შედგება ოთხი ნაწილისაგან. "ხსოვნის ტაძარი" სამრეკლოთი, "ცერემონიის მოედანი" მარადიული ცეცხლით და დიდების გვირგვინით, "ისტორიის კედელი" და მემორიალი "ბოროტსა სძლია კეთილმან".

"ხსოვნის ტაძარი" ინახავს ქვეყნისთვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას, აქ შეიძლება მივიღოთ სრული ვიზუალური და დოკუმენტალური ინფორმაცია, როგორც კონკრეტულ პიროვნებებზე, ასევე ცალკეულ ფაქტზე, მოვლენაზე. სამრეკლო დილით და საღამოს, ასევე ოფიციალური ცერემონიალის დროს, ასრულებს სათანადო "ლიტურგიას".



"ცერემონიალის მოედანი" – ესაა წრეზე განლაგებული 8 სვეტი, რომლის ცენტრში განთავსებულია მარადიული ცეცხლი, რომელსაც "თავზე ადგას" დიდების გვირგვინი. გვირგვინებით შემკობა, ოფიციალური დელეგაციის პროგრამა-მინიმუმია.

"ისტორიის კედელზე", რომლის სიგრძე ორმოცი მეტრია ამოკვეთილია საქართველოს ტრაგიკული ისტორიის ფაქტები და დრო მოკლე ანოტაციებით. "ისტორიის კედლის" მეორე მხარე მოპირკეთებულია შავი გრანიტის ფილებით. კედელი წარმოადგენს მემორიალის – "ბოროტსა სძლია კეთილმან"-ის აზრობრივ და მხატვრულ ელემენტს.

მემორიალი "ბოროტსა სძლია კეთილმან" – ესაა 14.5 მეტრის დიამეტრის ქვიშის გორაკი, ჟანგმოკიდემული ლითონის სხვადასხვა ირეალური ანომალიების, წამებისა და მოსპობის იარაღების ნაგავსაყრელი. "გორაკი" იმავდროულად ბავშვთა სათამაშო არენაა – სიმბოლო ბოროტებაზე სიკეთის ძლევისა – სიცოცხლის უწყვეტობისა.





„ხსოვნის ტაძრის" ირგვლივ ვრცელი ტერიტორია – მოლი დაყოფილია კვადრატებად (4.0 მ X 4.0 მ), ესაა ასოციაციური, სიმბოლური ძმათა სასაფლაო, მუდმივი მოვლის და მზრუნველობის სივრცე. აქ არ იქნება არც ერთი რეალური საფლავი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არსებული საძმო და ინდივიდუალური საფლავები, ასევე მემორიალები უნდა დარჩნენ ადგილზე. ისინი ამ ადგილების კუთვნილებაა. ტერიტორიას აღმოსავლეთის მხრიდან აკრავს „კიპარისების ტყე", სადაც განთავსებულია ბავშვთა სათამაშო მოედნები, სიმბოლო სიცოცხლის მარადიულობისა და უწყვეტობის.

„ხსოვნის ტაძრის" არქიტექტურულ-სივრცობრივი სახე ყალიბდება პოლიციის შენობის რეკონსტრუქცია-გაფართოების გზით. არსებულ შენობას ემატება ერთი სართული, კვადრატულ ნაწილს ამოუშენდება წრიული კედელი, ორი შესასვლელით. კედელი ყრუა, მოპირკეთებულია უჟანგავი ფოლადის ფურცლებით. წრიულ და კვადრატულ ნაწილებს შორის ინტერიერში იქმნება ოთხი სეგმენტი – ორსინათლიანი სივრცე. შენობა ნათდება ზემოდან. ცენტრში განთავსებულია წრიული კიბე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ყველა დონეს. კუთხეში მონიშნულია ადგილი ლიფტისთვის. შენობის I-II სართული საექსპოზიციო სივრცეა. სარდაფის სართულში სასაწყობო-სამეურნეო დანიშნულების სათავსოები განთავსდება. III დაშენებული სართული დაეთმობა ადმინისტრაციას და კვლევით-მეთოდოლოგიურ სათავსოებს. „ხსოვნის ტაძრის" ერთ-ერთი მეტყველი ელემენტია „სამრეკლო".

მემორიალი ემყარება მკაფიო არქიტექტურულ რეჟისურას. მისი „სამეტყველო ენა" არა მხოლოდ არქიტექტურაა, არამედ სცენოგრაფია, რიტუალი, სამრეკლოს დილა-საღამოს ზარი, მუსიკა, ღამის განათება. ადამიანები მემორიალის თანამონაწილენი ხდებიან. „ხსოვნა" გააზრებულია არა როგორც კედელზე ამოკვეთილი ინფორმაცია, არამედ როგორც უწყვეტი პროცესი. ქვეყნისთვის სიკვდილი უნდა იქცეს მარადიულ სიცოცხლედ.

ხსოვნის მემორიალური კომპლექსის მონახულება სკოლების სავალდებულო „საგანი" უნდა გახდეს.

არქიტექტორი
ვახტანგ დავითაია
IV.2016







# ყოფილი უნივერმაღ "თბილისის" რეკონსტრუქციის თაობაზე

ბოლო პერიოდში რუსთაველის #2/4-ში მდებარე ყოფილი უნივერმაღ "თბილისის" კომპლექსის მასშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნული ობიექტის მაღალი ქალაქგეგმარებითი, არქიტექტურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე Docomomo-მ საქართველო (მოდერნისტული მოძრაობის შენობების, ღირსშესანიშნავი ადგილებისა და უბნების დოკუმენტაციისა და კონსერვაციის საერთაშორისო კომიტეტის ეროვნული სექცია) და ურბან რეაქტორმა ჩაატარა დისკუსიაზე - უნივერმაღ "თბილისის" რეკონსტრუქცია: საფრთხეები და გამოწვევები.

შეხვედრის ფარგლებში საუბარი შეეხებოდა პროექტით დაგეგმილ ცვლილებებსა და მათ გავლენაზე, როგორც შენობაზე ასევე მთლიანად ქალაქზე. მომხსენებლები: ლევან ასაბაშვილი - არქიტექტორი, ნანო ზაზანაშვილი - არქიტექტორი.





კომპლექსი არქიტექტორების - რევაზ ბაირამაშვილის, დავით მორბედაძისა და ლერი მეძმარიაშვილის პროექტით 1977 წელს აშენდა. შენობის საინჟინრო გადაწყვეტა ცნობილ ქართველ კონსტრუქტორს შალვა გაზაშვილს ეკუთვნის. შენობა იმთავითვე იქცა ქალაქში მნიშვნელოვან არქიტექტურულ და ურბანულ მოვლენად და რუსთაველის გამზირის ერთ-ერთ საკვანძო საზოგადოებრივ ნაგებობად მოგვევლინა. იგი საქართველოში მრავალფუნქციური, ჰიბრიდული ნაგებობის ერთ-ერთი პირველი და იშვიათი მაგალითია. შენობის ავტორებმა წარმატებით გადაჭრეს რთული ამოცანა, რომელიც სავაჭრო, სარეკრეაციო და სატრანსპორტო ფუნქციების ერთ შენობაში გაერთიანებას და ფუნქციების ურთიერთ და დანარჩენ ქალაქთან ჰარმონიულ კავშირს გულისხმობდა.

არსებული შენობის სავაჭრო სივრცე რუსთაველის გამზირზე ორ სართულიანი ყრუ მოცულობით გამოდის, რომელიც პილონების რიგს ეყრდნობა და ამავე მოცულობით შემოსაზღვრულ ღია ატრიუმში შესასვლელს ქმნის. ატრიუმი გამანაწილებელი საზოგადოებრივი სივრცის ფუნქციას ასრულებს. იგი ქუჩიდან სიღრმეში მოთავსებული თეატრის ღია ფოიეს წარმოადგენს, სადაც მოწყობილია უნივერმაღში შესასვლელი და კიბე, რომელიც, მეტროს სახურავზე მოთავსებული ღია ტერასის გავლით, რუსთაველის გამზირს სულხან-საბა ორბელიანის ქუჩისკენ მიმავალ საფეხმავლო კიბე-ქუჩასთან აკავშირებს. მეტროს სადგური იზოლირებულია დანარჩენი ფუნქციებისგან. სადგურის ფოიეში შესასვლელი შენობის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, რუსთაველის გამზირზე, კიბე ქუჩისა და ავტობუსების გაჩერების სიახლოვესაა განთავსებული. ამგვარი გეგმარებითი გადაწყვეტის შედეგად შენობის სხვადასხვა ფუნქციები ერთ კომპლექსში დამოუკიდებელ ერთეულებად გაერთიანდა, რომლებიც ერთმანეთს საჯარო სივრცით (ატრიუმით, ტროტუარით, ტერასით) დაუკავშირდა. ამდენად არცერთი ფუნქცია არ მოგვევლინა დომინანტად და ქუჩიდან გახსნილი, ყველასთვის ხელმისაწვდომი საჯარო სივრცით იქნა ერთმანეთში ჩაწნული. კომპლექსის ამ მახასიათებელმა უზრუნველყო შენობის ფოროვანობა და დემოკრატიული ბუნება, რამაც მას არქიტექტურული მნიშვნელობის გარდა ურბანული ღირებულებაც მიანიჭა. ეს ის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია, რომლის მიღწევა დღესაც თანამედროვე არქიტექტურის ერთ-ერთ ცენტრალურ და ძნელად გადასაჭრელ პრობლემად მიიჩნევა.

ამგვარი კომპოზიციური მთლიანობის შესაქმნელად გამოყენებული იქნა ამ პერიოდის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი უმაღლესი ხარისხის სივრცითი და საინჟინრო გადაწყვეტები. ნაგებობის პროპორცია, რითმი, თითოეული არქიტექტურული ელემენტი თუ საინჟინრო კვანძი ერთი მთლიანის განუყოფელი ნაწილია.

ნაგებობის არქიტექტურულ-სივრცითი გადაწყვეტა ნასაზრდოებია გვიან მოდერნისტული ტრადიციის განგრძობითი ქალაქი-ნაგებობის იდეით. იგი მატერიალიზებულ სოციალურ უტოპიას წარმოადგენდა, რომელიც მსოფლიოში არსებული სხვა მსგავსი ნაგებობებისგან განსხვავებით სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩეოდა.

დღეს, შენობის რეკონსტრუქციის პროექტი გულისხმობს სავაჭრო ცენტრის შექმნას, რომელიც თავისი ფართობით ბევრად აღემატება ყოფილი უნივერმაღ თბილისის სავაჭრო სივრცეს. ამასთან იგი ნაგებობაში გაერთიანებული ფუნქციების ახლებურ, თავდაპირველი გადაწყვეტის საპირისპირო ურთიერთმიმართებასაც გვთავაზობს და რადიკალურად ცვლის შენობის მხატვრულ იერსახეს. უფრო კონკრეტულად:

1. მიმდინარე ჩარევების შედეგად პირველი დარტყმა სწორედ კომპლექსის ფოროვა-

ნობის ზემოთ აღწერილ თვისებას ადგება. თავად რეკონსტრუქციის პროექტის განმარტებით ბარათში პროექტის ერთ-ერთ მთავარ მიზნად დასახულია ფუნქციურად დამოუკიდებელი ერთეულების სავაჭრო ცენტრის წიაღში ინტეგრირება. შესაბამისად, ახალი არქიტექტურული გადაწყვეტა დასახულ მიზანს მიყვება - ხდება ერთ დროს ყველასთვის ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი სივრცეების კომერციული დანიშნულებით მაქსიმალურად ათვისება: ა) ღია ატრიუმი იხურება. იგი ხდება ე.წ. მოლის, თეატრისა და მეტროს დამაკავშირებელი დახურული სივრცე. ბ) მოხდება მეტროს არსებული ზედა სადგურის დემონტაჟი. მის მაგიერ ახალი სადგური აშენდება, ხოლო მეტროს თავზე არსებული ტერასა გაქრება და მის ადგილს სავაჭრო სივრცეები დაიკავებს. გ) თავისუფლების მოედანზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი ნაგებობამდე გამოგრძელდება და სარდაფის სართულზე სავაჭრო ცენტრს დაუკავშირდება.

ჩვენი აზრით ასეთი სახის ცვლილება დაუშვებელია, რადგან ამ შემთხვევაში საჯარო ინფრასტრუქტურა - სახელმწიფო თეატრი, მეტრო და მიწისქვეშა გადასასვლელი ფუნქციურად სავაჭრო ცენტრის პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ ექცევა და მის მომსახურე ელემენტებად გვევლინება, რისი ერთადერთი მიზანიც ხალხის ნაკადების კომერციულ სივრცეში იძულებითი მიზიდვაა. შედეგად დაიკარგება შენობის საზოგადოებრივი ბუნება და ის სრულად დაექვემდებარება კომერციულ ინტერესს.

2. იცვლება შენობის მასშტაბი და სტილისტური გადაწყვეტა. ამ პროცესში მთლიანად ნადგურდება ან იმალება არსებული ნაგებობის ჯერ კიდევ შენარჩუნებული უნიკალური არქიტექტურულ-სივრცითი და საინჟინრო მახასიათებლები. ჩვენი აზრით ეს დაუშვებელია რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, ეს ნაგებობა არის თავისი დროის არქიტექტურის თვალსაჩინო ნიმუში, რომელიც აუცილებელია შევუნარჩუნოთ მომავალ თაობას;

ჩამოთვლილი უხეში ჩარევების შედეგად მთლიანად იცვლება არსებული კომპლექსის არქიტექტურა - მისთვის დამახასიათებელი მიწათსარგებლობის ფორმები, ფუნქციათა ურთიერთმიმართება, სივრცითი ორგანიზება, მასალების, სამშენებლო ტექნიკებისა და ესთეტიკური მახასიათებლები.

ასევე ვთვლით, რომ აღნიშნული რეკონსტრუქცია ერთი კონკრეტული შენობის პრობლემატიკას სცილდება და უფრო ფართო ქალაქგეგმარებით და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებსაც წამოჭრის:

1. წინა წლებში განხორციელებული უპასუხისმგებლო ცვლილებების შედეგად საშუალება გვქონდა დავკვირვებოდით დედაქალაქის ცენტრალური მოედნისა და გამზირის რადიკალურ ტრანსფორმაციას, რომელიც არქიტექტურული იერ-სახის ცვლილებასთან ერთად მის მასშტაბურ კომერციალიზაციასაც გულისხმობდა. საკმარისია გავიხსენოთ რუსთაველის გამზირზე ყოფილი ფოსტის, იმელის, ზარია ვოსტოკას, ყოფილი იუსტიციის სამინისტროს, მხატვრის სახლის მაგალითები. ასევე - რუსთაველის გამზირის და თავისუფლების მოედანის მასიური რეკონსტრუქცია, რასაც თან ერთვოდა აქ არსებული მრავალფეროვანი წვრილი სავაჭრო ობიექტების განდევნა და მათი საერთაშორისო ბრენდებით ჩანაცვლება ან ამის მცდელობა. აღნიშნულმა პროცესმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ამ სივრცეების სიცოცხლისუნარიანობასა და მრავალფეროვნებას;



2. ბოლო წლების მანძილზე თბილისში რამდენიმე დიდი მასშტაბის სავაჭრო ცენტრი აშენდა ( „თბილისი მოლი“, სავაჭრო ცენტრი „დომინო“ და ა.შ. ), სადაც უკვე შეგვიძლია დავაკვირდეთ ასეთი ცენტრებისათვის არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო მასშტაბით ჩამოყალიბებულ ნიშან-თვისებებს, როგორიცაა მათში მიმდინარე კომერციული საქმიანობის ჰომოგენურობა, მათში შემავალი ფსევდო-საზოგადოებრივი ფუნქციების სტანდარტიზაცია და კომერციალიზაცია და მათ უშუალო გარემოსა და მთლიანად ქალაქზე მომაკვდინებელი ზეგავლენა.

3. ბოლო წლების მანძილზე შეუქცევად ტენდენციად იქცა საბჭოთა არქიტექტურული მემკვიდრეობის ძირეული გადაკეთებისა და ნგრევის პრეცედენტები. დანგრეულია ყოფილი ცეკავშირის შენობა თავისუფლების მოედანზე, ძირეულად გადაკეთებულია ყოფილი „პირიმზის“ შენობა, საფრთხე ემუქრება საცურაო აუზ „ლაგუნა ვერეს“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ტექნიკური ბიბლიოთეკისა და ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შენობებს და ა.შ. მათ ადგილს საეჭვო მხატვრული ღირებულების ობიექტები ანაცვლებს. ქალაქის არქიტექტურული მრავალფეროვნება დღითიდღე ღარიბდება.

ამ ტენდენციების შედეგად ასევე ნადგურდება ქალაქის ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციური და კულტურული მრავალფეროვნება.

იმის მიუხედავად, რომ ყოველდღიურად ვაკვირდებით ტოტალური კომერციალიზაციის შედეგად ქალაქური მრავალფეროვნების კვდომის პროცესს, ხელისუფლება მაინც განაგრძობს იგივე შეცდომების გამეორებას. არ ხდება ქალაქგანვითარების ალტერნატიული გზების ძიება, საზოგადოებრივი ინტერესი უგულვებელყოფილია და კერძო ინტერესებს ეწირება. ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აუცილებელია, რომ მინიმუმ ისეთ მნიშვნელოვან ობიექტებზე მაინც, როგორიცაა რუსთაველის №2/4-ში მდებარე კომპლექსი, ტარდებოდეს წინასწარული საჯარო განხილვები. ეს განხილვები უნდა იყოს არა საინფორმაციო ხასიათის, არამედ პირდაპირი დემოკრატიის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს. აქვე უნდა ხდებოდეს ობიექტის საკუთრების ფორმებისა და ფუნქციის დადგენა. ამის შემდეგ უნდა ცხადდებოდეს ღია არქიტექტურული კონკურსები, რომელთა შედეგებს, პროფესიონალებთან ერთად, მოსახლეობის ფართო მასები უნდა განსაზღვრავდნენ.

სწორედ ესაა რეალური დაგეგმარების დემოკრატიული პრაქტიკა.

დოკომომო საქართველო
ურბან რეაქტორი



# ინოვაცია ავტოპარკირების შესახებ



უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებიდან ამორტიზებული, იაფი მსუბუქი ავტომობილების მოწოდებამ სატრანსპორტო ბაზარზე განაპირობა მოსახლეობის ავტომობილიზაციის დონის სწრაფი ამაღლება და შესაბამისად მოთხოვნების მკვეთრი ზრდა ავტოპარკირებაზე. ავტომობილიზაციის პროცესს თბილისში მნიშვნელოვნად ჩამორჩა ქუჩისგარე ავტოსადგომების ქსელის გაფართოება-მშენებლობის ტემპები, რის გამოც სამუშაო დღეებში ავტომობილების პარკირება ხორციელდება ძირითადად მაგისტრალური გზების სავალ ნაწილზე - ტროტუარების მიმდებარედ, ხოლო არასამუშაო საათებსა და უქმე დღეებში საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოების შესასვლელებსა და მათ მიმდებარედ.

აღნიშნულის შედეგად:

1. 25-30%-ით მცირდება მაგისტრელური გზების გამტარუნარიანობა, მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება სადგომზე მანქანების დაყენებისა და გამოსვლისას, რადგან იწვევს სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობაში დამატებით შეფერხებებს. ამასთან ცალკეულ შემთხვევებში პარკირების დადგენილი ადგილები ვერ აკმაყოფილებს მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის მოთხოვნებს, განთავსებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერების ან გზაჯვარედინის მიმდებარედ და ხშირად საცობების გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს. პარკირების ადგილების შეზღუდულობის გამო ავტომფლობელები იძულებულნი ხდებიან მანქანები დააყენონ ტროტუარებზე, რაც ხელს უშლის ფეხითმოსიარულეთა გადაადგილებას.

ექსპერტული შეფასებით გზის ორივე მხარეს ერთ კმ-ზე საშუალოდ 250-300 ავტომობილის პარკირებაა შესაძლებელი.

2. მანქანების განთავსება სადარბაზოების შესასვლელებში ან მიმდებარედ ხელს უშლის სასწრაფო და სახანძრო მანქანების მისვლას დანიშნულების ადგილებამდე და აფერხებს მათი საქმიანობის განხორციელებას.

განვითარებულ ქვეყნებში მასობრივი ავტომობილიზაციის საწყისი პერიოდიდან დაიწყო ქუჩისგარე მრავალსართულიანი, მიწისზედა და მიწისქვეშა საერთო სარგებლობის ავტოსადგომების მშენებლობა; ამასთან ფაბრიკა-ქარხნები, ორგანიზაციები, დაწესებულებები თავიანთ კუთვნილ ტერიტორიაზე თანამშრომლებისთვის საკუთარი ხარჯებით აწყობდნენ ავტოსადგომებს. მიუხედავად ამისა ევროპის და ამერიკის ქალაქებში პარკირების პრობლემა დღემდე არ არის გადაწყვეტილი და მნიშვნელოვან სირთულებთანაა დაკავშირებული.

თბილისში თავისუფალი ტერიტორიების მოძიება, ადგილის შერჩევა მრავალსართულიანი მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომების მოსაწყობად განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილში მეტად რთულია. ჩვეულებრივ ავტოსადგომებზე ერთი მანქანის პარკირებისთვის საჭირო ფართი 28.6 კვადრატულ მეტრს შეადგენს (ნორმად აღებულია ა.შ.შ. მონაცემები, მანქანის სიგრძე 5.6. მეტრი, ევროპული მანქანებისთვის მერსედერსი, გოლფი, ოპელი, ბეემვე და სხვები, სიგრძე 4,5 მეტრამდე დაახლოებით 22.8 კვ.მ). ამასთან ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ავტოსადგომიდან დანიშნულ პუნქტამდე მანძილი 500-600 მეტრის ფარგლებში უნდა იყოს (ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების ნორმა). ქალაქის ცენტრალურ ნაწილში 4-5-კმ-იან მაგისტრალზე პარკირების მოთხოვნა მინიმუმ 1000 მანქანას შეადგენს, რისთვისაც 2.28 ჰა ფართია საჭირო. ასეთ მაგისტრალზე სამი სადგომი მაინც უნდა მოეწყოს. თითოეული 330 მანქანაზე.ერთისთვის საჭირო ფართი 7600 კვ.მ იქნება. შენობის ზომები სართულების რაოდე-







ნობაზეა დამოკიდებული. თანაც ადგილი ისე უნდა შეირჩეს, რომ მაგისტრალიდან ავტოსადგომზე მანქანების შესვლა და გამოსვლა სატრანსპორტო ნაკადების შეფერხებას არ იწვევდეს.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით პრობლემის მოგვარების შესაძლო ვარიანტად შეიძლება გამოდგეს მექანიზებული ავტოსადგომი, მარტივი მექანიზმით, საქართველოს პატენტი უ1776. ავტოსადგომზე მიმმართველის გასწვრივ განთავსებულია მსუბუქი მანქანების დასაყენებელი მოძრავი პლატფორმები, რომლებიც მიმმართველთან ჩამკეტით არიან დაკავშირებული,ცალკეული ჩამკეტის დამოუკიდებლად გახსნის შესაძლებლობით; ამასთან პლატფორმის გადაადგილება ხდებამიმმართველის მართობულად, საერთო ან ინდივიდუალური ამძრავით. რიგიდან გამოსულ პლატფორმაზე საკუთარი სვლით ადის მანქანა და ავტომატურ რეჟიმში უბრუნდება თავის ადგილს. პლატფორმას ირჩევს მძღოლი. შეიძლება მექანიკური ჩამკეტის დაყენებაც, რომელსაც გახსნის ოპერატორი. პლატფორმები კოდირებულია; დანომრილი სადგომი აღჭურვილია ტაბლოთი, რომელიც აჩვენებს დატვირთულ და თავისუფალ პლატფორმებს. (ნახაზი 1).

4.5 მ. სიგრძის პლატფორმებს თუ განვათავსებთ მაგისტრალზე ტროტუარის მიმდებარედ 100მეტრის სიგრძეზე დაეტევა 22 პლატფორმა. ერთ კმ-ში 220 მანქანა, 20%-ით იზრდება სადგომის ტევადობა, თუ არსებული მდგომარეობა ამის საშუალებას მოგვცემს, არ იქნება განთავსებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერი, გზაჯვარედინიდან დაშორებული ვიქნებით კანონით დადგენილი მანძილის ფარგლებში და სხვა. აღნიშნულის შედეგად მაგისტრალის გამტარუნარიანობა უმნიშვნელოდ იზრდება, პარკირებისთვის საჭირო დროისა და პარკირების პროცესში შეფერხების შემცირების ხარჯზე (პარკირებისას არ არსებობს მანქანის წინ და უკუსვლითი მოძრაობების საჭიროება).

მოწყობილობა მაქსიმალურ ეფექტს მოგვცემს თუ მას განვათავსებთ მაგისტრალური გზის ქვეშ გვირაბში, მთელ მის სიგრძეზე. 3-3.5 მ. სიღრმეზე, ორ რიგად. რიგებს შორის 3მ. გასასვლელის დატოვების შემთხვევაში მივიღებთ ფართს 7 მ-ის სიგანით. 100 მ-ში განლაგდება მინიმუმ 21-21 პლატფორმა, სულ 42. ერთ კმ-ში განთავსდება 420 მანქანამდე. გვირაბი შედგება პირობითად 500 მ. სიგრძის სექციებისგან, თავში 3მ. სიგანის ჩასასვლელით და ბოლოში იმავე სიგანის ამოსასვლელით. ასეთ სექციებს შორის მანძილი 15-20 მ-ია. ჩასასვლელი და ამოსასვლელი შეიძლება გაკეთდეს ტროტუარის ნაწილობრივი გამოყენებით (ყოველ 250 მ-შიშეიძლება მოეწყ-




ნახაზი 1.





ნახაზი 2.

ოს მძღოლისთვის ამოსასვლელი კიბეები). სადგომები აღიჭურვება კომპიუტერებით, პარკომეტრით, აღრიცხვიანობა გახდება გამჭვირვალე, შესაძლებელი იქნება ავტოსადგომის მუშაობა ავტომატურ რეჟიმში.

ჩვეულებრივ ავტოსადგომებთან შედარებით ხასიათდება შემდეგი უპირატესობით:

ა) ერთ მანქანაზე მოდის 16.6 კვ.მ ფართი, 20-25%-ით ნაკლები, ვიდრე ჩვეულებრივ ავტომანქანებძე.

ბ) მიიღწევა ავტომფლობელთა მომსახურების მაღალი დონე, დანიშნულების პუნქტამდე მანძილი მინიმალურია.

გ) არ არის საჭირო მიწის ნაკვეთის გამოყოფა, რაც განაშენიანებულ ქალაქების ცენტრალურ ნაწილში მეტად რთულია.

დ) სადგომი აღჭურვილია მარტივი მექანიზმით, მოვლა პატრონობა არ მოითხოვს დიდ ხარწებს.

ვ) ავტოსადგომი დაიტვირთება ღამის საათებშიც მაგისტრალზე მცხოვრები ავტომფლობელთა მანქანებით.

ვ) მშენებლობის დაფინანსებაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ მაგისტრალზე გათავსებულმა კომერციულმა და სხვა ფირმებმა.

ზ) გვირაბში მანქანების შესვლა და გამოსვლა არ იწვევს მაგისტრალზე სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობაში შეფერხებებს.

თ) მაგისტრალის ყველა ზოლზეა შესაძლებელი ტრანსპორტის მოძრაობა და მისი გამტარუნარიანობა მაქსიმალურია.

400 მანქანაზე მიწისზედა ავტოსადგომის მშენებლობისთვის საჭირო შენობის ფართი 400 X22.8= 9120 კვ.მ-ია. ერთი კვ.მ ფართის მშენებლობის თვითღირებულება მიახლოებით 300 დოლარია. 9120 კვ.მ დაჯდება 2736 ათასი დოლარი, რასაც დაემატება მიწის ნაკვეთის, რამპების მოწყობის ან რთულ მოწყობილობათა ღირებულება. კიდევ უფრო ძვირია მიწისქვეშა მრავალსართულიანი ავტოსადგომის მოწყობა. დაახლოებით ამ ფარგლებში დაჯდება მაგისტრალის ქვეშ ავტოსადგომის მშენებლობაც.

ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს პოსტსაბჭოთა სივრცის ქალაქებშიც. საბჭოთა პერიოდში ავტომობილიზაციის ნორმა 1000 სულ მოსახლეზე 250 მსუბუქი მანქანა შეადგენდა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მისი რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონეზე, ხელისუფლების მიერ საავტომობილო პარკისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე (ექსპლოატაციაში მყოფი მანქანების დასაშვები ხნოვანება) და სხვა ფაქტორებზე. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც გაჯერებულია ავტომობილიზაციის პროცესი საგზაო მანქანების საერთო რაოდენობა 350-400 ერთეულს აღწევს, პოსტსაბჭოთა სივრცის ქალაქებში მოსახლეობის ავტომობილიზაციის დონე გაჯერებისაგან ჯერ კიდევ შორსაა. ავტომობილიზაციის დონის ამაღლება პარკირებაზე მოთხოვნებს კიდევ უფრო გაზრდის და შესაბამისად პრობლემის მოგვარებაც გართულდება.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულმა პარკირების მეთოდმა შესაძლოა ხელი შეუწყოს პრობლემის გადაწყვეტა.

ზაურ კაჭარავა



სახლი
HOUSE

# ვიზიტორთა ცენტრი

თარიღი: 2011

კლიენტი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

ადგილმდებარეობა: უფლისციხე, საქართველო

შენობის ფართი: 826.4

ბიუჯეტი: $0,39 მილიონი

პროგრამა: ვიზიტორთა ცენტრი, საგამოფენო დარბაზი, კაფე, გიდები, საინფორმაციო.

მუშაობდნენ: დავით ბახტაძე, დიმიტრი მოძმანიშვილი.

კონცეფცია: უფლისციხის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი მდებარეობს უფლისციხის კომპლექსის აღმოსავლეთით. არსებულ სამუზეუმო კომპლექსს დაემატა ახალი შენობა-ნაგებობა, რომელიც შედგება შემდეგი სათავსოებისგან: დაცვის ოთახი, სალარო, საინფორმაციო ცენტრი, საკონფერენციო დახურული დარბაზი, სუვენირების მაღაზია და ღია ამფითეატრი (ლაპიდარიუმი). ფუნქციონალურად ლაპიდარიუმი შეიძლება გამოყენებულ იქნას კარგ ამინდში კონფერენციების და სხვადასხვა წარმოდგენების მოსაწყობად. ამფითეატრის ქვის დასაჯდომები მოპირკეთებულია ხის წვრილი ძელაკებით კომფორტისთვის. ამფითეატრის თავზე მოწყობილია ხის ძელების კომპოზიცია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში (წვიმის, მზის) საწინააღმდეგოდ ტენტების კომპოზიციით დაიფარება, რაც არქიტექტურულადაც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. შენობის მთავარი კედლები მოპირკეთებულია ბუნებრივი ქვის ფილებით (ნიჩბისის ქვიშა-ქვა) და ხის პანელებით. ფეხით მოსიარულეთათვის რამპები და ბილიკები მოპირკეთებულია ბუნებრივი ანანურის ფლეთილი ქვით.

მრჩეველი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

















# Visitors Centre

Date: 2011
Client: National Agency For Cultural Heritage Preservation Of Georgia
Location: Uflscixe, Georgia.
Building Area: 826.4 m²
Budget: $0,39 mil.
Program: Visitors Centre, Exhibition Hall, Cafe, Guides, Info Box.
Credits: David Bakhtadze, Dimitri Modzmanishvili.
Advisor: National Agency For Cultural Heritage Preservation Of Georgia

# სასტუმრო რიქსოსი

კლიენტი: საქართველოს საპარტნიორო ფონდი - ყაზმუნაიგაზი, ყაზახეთი.

ადგილმდებარეობა: ლიკანი

შენობის ფართი: 16154 მ$^2$

ბიუჯეტი: $48 მილიონი.

პროგრამა: სასტუმრო, სპა, სამკურნალო ცენტრი, რესტორანი, კაფე-ბარი, ბავშვთა გასართობი ცენტრი, ჩოგბურთის, კალათბურთის და ფეხბურთის მოედნები.

მუშაობდნენ: ალექსანდრე კაციტაძე, დავით ბახტაძე, დიმიტრი მოძმანიშვილი, რევაზ ქეშელაშვილი, ვლადიმერ აბრამიშვილი, ქეთევან ბუცხრიკიძე.

კონცეფცია: სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პირველი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო გაიხსნა. „რიქსოს ბორჯომი“ ლიკანში, ე.წ. მეოთხე სამმართველოს სახელით ცნობილ ტერიტორიაზე საპარტნიორო ფონდმა და ყაზახურმა კომპანია „ყაზმუნაიგაზმა“ გახსნა.

სასტუმროში 151 ნომერია – სტანდარტული, ლუქსის და საპრეზიტენტო.

კომპლექსი რესტორნებს, კაფე-ბარებს, საკონფერენციო დარბაზებს, გოლფის და ფეხბურთის სათამაშო მოედნებს, სმა ცენტრს, საცურაო აუზს, ბავშვთა გასართობ ცენტრ „რიქსი ქლაბს“ და დამხმარე ნაგებობებს აერთიანებს.

სასტუმროს ოპერირებას სასტუმროების ცნობილი ქსელი „რიქსოსი“ განახორციელებს, რომელიც ამ პროექტით პირველად შემოვიდა საქართველოში.

კომპლექსი საპარტნიორო ფონდის და ყაზახური კომპანია „ყაზმუნაიგაზის“ ერთობლივი ინვესტიციით აშენდა. პროექტის ჯამური ღირებულება 48 მილიონი აშშ დოლარია. საპარტნიორო ფონდის თანამონაწილეობა პროექტის კაპიტალის 50%-ია.

მრჩეველი: www.rixos.ge













# Rixos Hotel Borjomi



Date: 2011
Client: Georgian Partnership Fund - KazMunayGaz
Location: Likani, Georgia
Building Area: 16154 m²
Budget: $48 mil.
Program: Hotel, SPA, Health Centre, Restaurant, Cafe-Bar, Childrens Club, Tennis-Football and Basketball stadiums.
Credits: Aleksandre Katsitadze, David Bakhtadze, Dimitri Modzmanishvili, Revaz Keshelashvili, Vladimer Abramishvili, Ketevan Butskhrikidze.
Advisor: www.rixos.ge



# კერძო სახლი



თარიღი: 2015
კლიენტი: ინგა ზეიკიძე
ადგილმდებარეობა: წავკისი, საქართველო;
შენობის ფართი: 568,0 მ$^2$
ბიუჯეტი: $1.5 მილიონი.
პროგრამა: საცხოვრებელი, აუზი, ჩოგბურთის მოედანი;
მუშაობდნენ: დავით ბახტაძე, ვანიკო ქათამაშვილი







# Family House

Date: 2015
Client: Inga Zeikidze
Location: Tsavkisi, Georgia
Building Area: 568.0 m²
Budget: $1.5 mil.
Program: Residential, Pool, Tennis;
Credits: David Bakhtadze,
Vaniko Katamashvili













# საოფისე შენობა

თარიღი: 2012
კლიენტი: შ.პ.ს “აფსიდა“, შ.პ.ს. “ინტერნეშნლ დეველოპმენტ კომპანი - 2008“
ადგილმდებარეობა: სააკაძის დაღმართი №6, თბილისი
შენობის ფართი: 9981.5 $მ^2$
ბიუჯეტი: $6.25 მილიონი.
პროგრამა: ოფისი, ავტოსადგომი
მუშაობდნენ: ვლადიმერ აბრამიშვილი, დიმიტრი მოძმანიშვილი, დავით ავალიშვილი













# Office Building

Date: 2012
Client: “Afsida L.T.D“, “International Development Company - 2008 L.T.D.“
Location: #6 Saakadze Descent. Tbilisi, Georgia
Building Area: 9981.5 m²
Budget: $6.25 mil.
Program: Office, Car Parking
Credits: Vladimer Abramishvili, Dimitri Modzmanishvili, David Avalishvili









უცხოური არქიტექტურა

FOREIGN ARCHITECTURE

# ზაჰა ჰადიდი

31 ოქტომბერი, 1950 – 31 მარტი, 2016 – ბრიტანეთის იმპერიის ორდენის წევრი, წარმოშობით ერაყელი, ბრიტანელი დეკონსტრუქტივისტი არქიტექტორი.



დაიბადა ბაღდადში, ერაყი. ხარისხი მათემატიკის განხრით მიიღო ბეირუთის ამერიკულ უნივერსიტეტში, შემდეგ კი ლონდონის არქიტექტურის სკოლის არქიტექტურის ასოციაციაში გადავიდა სასწავლებლად. სწავლის დასრულების შემდეგ, „მეტროპოლიტენ-არქიტექჩა გრუპის“ ოფისში იწყებს მუშაობას ყოფილ მასწავლებელთან, ჰოლანდიელ არქიტექტორ რემ კოოლჰაასთან პარტნიორად. 1979 წელს ლონდონში ის საკუთარ პრაქტიკას იწყებს. 1980-იან წლებში ის ასევე არქიტექტურის ასოციაციაში ასწავლიდა.

ჰადიდის ნამუშევართა უმრავლესობა კონცეპტუალურია; მის მნიშვნელოვან პროექტებს მიეკუთვნება:

- ვიტრას სახანძრო სადგური (1993), ვეილ-ამ-რაინი, გერმანია;
- როზენთალის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი (1998), ცინცინატი, ოჰაიო;
- ჰონჰაიმ-ნორზის ტერმინალი და სადგური (2001), სტრასბურგი, საფრანგეთი;
- ბერგისზელის სათხილამურო ტრამპლინი (2002), ინსბრუკი, ავსტრია;
- ორდრუპგაარდ-ანექსი (2005), კოპენჰაგენი, დანია;
- ბე-ემ-ვეს ცენტრალური შენობა (2005), ლაიფციგი, გერმანია.

ზაჰა ჰადიდს ეკუთვნის ასევე უმაღლესი პროფილის საინტერიერო ნამუშევრები, მათ შორის, ლონდონის ათასწლეულის თალის „მაინდ-ზონა“. ერთ-ერთი მიმდინარე პროექტია ლონდონის აქვა-ცენტრის 20.000 მაყურებლიანი დარბაზი, 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის პროექტის ერთ-ერთი დანამატი.

მრავალ საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული ჰადიდის საუკეთესო პროექტები არასდროს აშენებულა. მათ შორის აღსანიშნავია ჰონგ-კონგის პიკ-კლუბი და კარდიფის ”ბეი-ოპერა ჰაუზი” უელსში (1994). 2002 წელს მან გაიმარჯვა სინგაპურის უან-ნორზ გენერალური გეგმის პროექტის საერთაშორისო კონკურსში. 2005 წელს მისმა პროექტმა გაიმარჯვა ბაზელის ახალი საქალაქო კაზინოს შენობის კონკურსში. 2004 წელს ჰადიდი პირველი ქალი გახდა, რომელსაც პრიცკერის არქიტექტურის პრემია მიენიჭა. ბრიტანეთში მას სამეფო ორდენის წევრობა მიენიჭა არქიტექტურის სფეროში მნიშვნელოვანი ღვაწლისთვის. ჰადიდი ბრიტანიკის ენციკლოპედიის სარედაქტორო საბჭოს წევრია.

ზაჰა ჰადიდი გარდაიცვალა 2016 წლის 31 მარტს, 65 წლის ასაკში, მაიამიში, გულის შეტევით.







## ჰეიდარ ალიევის ცენტრი

57 519 კვადრატული მეტრის კომპლექსი ბაქოში, რომელიც შექმნილია ერაყელ-ბრიტანელი არქიტექტორის ზაჰა ჰადიდი მიერ, გამორჩეულია თავისი განსხვავებული არქიტექტურული გადაწყვეტილებებით.

ცენტრში განლაგებულია საკონფერენციო დარბაზი (აუდიტორია), გალერეა და მუზეუმი. პროექტის მიზანია, ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ქალაქის ინტელექტუალურ ცხოვრებაში და აღორძინებაში. მდებარეობს ქალაქის ცენტრთან ახლოს.

ჰეიდარ ალიევის ცენტრი წარმოადგენს თხევად ფორმას, რომელიც ჩნდება ბუნებრივი ლანდშაფტის ტოპოგრაფიის და შესაფუთი ინდივიდუალური ფუნქციების დაკეცვის დროს. ცენტრის ყველა ფუნქციები, შესასვლელთან ერთად წარმოდგენილია ერთ უწყვეტ ზედაპირზე. ცენტრის სითხის ფორმა, სხვადასხვა კულტურული სივრცეების დაკავშირების საშუალებას იძლევა და ამავე დროს, უზრუნველყოფს მისი თითოეული ელემენტის საკუთარი იდენტობის და კონფიდენციალურობის შენარჩუნებას.

ჰეიდარ ალიევის ცენტრის ოფიციალური გახსნის ცერემონიალი შედგა 2012 წლის 10 მაისს, ზაჰა ჰადიდის და აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის დასწრებით.





















# Zaha Hadid

*October 31 1950 – March 31 2016, DBE, British deconstructivist architect, Iraqi by origin.*

Zaha Hadid was born in Bagdad, Iraq. Having earned a degree in mathematics in the American University of Beirut, she moved to London to study in the Architectural Association School of Architecture. After graduation she started to work in Office for Metropolitan Architecture with her former professor Dutch architect Rem Koolhaas. In 1979 Zaha Hadid launched her own architectural practice. In the 1980'es she also taught at the Architectural Association.

The majority of Hadid's works is conceptual; her most notable projects are:

- Vitra Fire Station (1993), Weil am Rhein, Germany;
- Rosenthal Center for Contemporary Art (1998), Cincinnati, Ohio, USA;
- Hoenheim North Tramway Terminus and station (2001); Strasbourg, France;
- Bergisel Ski Jump (2002); Innsbruck, Austria;
- Ordrupgaard Annexe (2005); Copenhagen, Denmark;
- BMW Headquarters (2005); Leipzig, Germany

Zaha Hadid created a number of top-profile interiors, including Mind Zone at the London Millennium Dome. One of her ongoing projects is a 20000-seat hall in London Aquatics Center, an extension to the 2012 London Olympics project.

Hadid's best projects – winners of numerous international competitions – have never been realized. Among these, we ought to specially mention Hong Kong Peak Club, China (1982-1983), and Cafdiff Bay Opera House in Wales (1994). In 2002 Zaha Hadid won the international competition to design Singapore one-north master plan. In 2005 Zaha Hadid became the first woman architect to receive Pritzker Prize. In 2012 she was appointed Dame Commander of the Order of the British Empire for outstanding services to architecture. Hadid was member of Encyclopaedia Britannica editorial board. Zaha Hadid died of a heart attack in the age of 65 in Miami, USA, on March 31 2016.









**HEYDAR ALIYEV CENTRE**

Bau, Azerbaijan
2007-2012
The Republic of Azerbaijan
Built
101,801 m²
Building: 57,519 m²
Site: 111,292 m²
Footprint: 15,514 m²

The historical context

While the structure's complex geometric form depends on leading-edge engineering, it is also connected to the region's ancient cultural foundations. Saffet Kaya Bekiroglu (the project designer and architect for the Baku center) explained in an interview that the building's curvilinear contours echo the cursive flow of the Islamic world's calligraphy, which was etched into mosques scattered around Baku in centuries past.

While designing the center, Zaha Hadid Architects reviewed a spectrum of architectural and cultural innovations that have appeared across the Islamic world over the past 1400 years.

"Fluidity has always been part of the Islamic world's architecture," Mr. Bekiroglu said. In structures like the 400-year-old Blue Mosque in Istanbul, he added, "Calligraphy and geometric patterns flow through the interior surfaces of domes and walls, and onto the carpets within, establishing this continuity."

One icon of Islamic design, the Mosque of Cordoba, features doubled-tiered arches and columns that appear, to those walking through the World Heritage site, to stretch out into infinity. Along the perimeter of the mosque, commissioned in the 8th century by a Caliph of Damascus who fled civil war in Syria to reach sanctuary in the Spanish city of Cordoba, "the grid of orange trees in the courtyard continues in the interior as palm tree-like columns that blur the relationship between exterior and interior," he said.

The arc-shaped passageways and curved lines of lighting that cut through the Baku center create an even greater impression that these spaces continue into infinity. And the architecture of the new cultural outpost, he said, flows symmetrically into the landscape design.





# Chillr
## Project story

*Authors: Manish Dikshit and Sonali Pandit*
*Aum Architects Company*
*Location: Mumbai, India*



The highlight of the 2816 sq. ft. office space is the double height and the glass facade that boosts its volume. The requirement was to create a minimal yet dynamic workplace that would transcend the site conditions. The client wanted to retain the open and voluminous nature of the site. The brief was to create an un-official ambience reflecting a coffee shop. Even so the office was to have space for some formal interactions. Yet it had to amalgamate into one distinct space. The need was also to create an environment to help nurture the office culture and improve employee communication by keeping the design open. The office had to have an open design without any visual barriers.

With the given brief the key element was to keep the design functionally and aesthetically transparent. getting influenced by the glass facade that wrapped the site we decided not to segregate functions with barriers but let them flow into adjacent spaces. Keeping in mind the users the design was to make it more un-office like so as to have the same ideology of the inside-out outside-in. hence we looked at the site as a canvas to paint with a very modern approach; of keeping it minimal also at the same time vibrant and lively.

While planning; the private functions were pushed away from the voluminous double height space; the more social lounge was planned in this area. Wanting to give the lounge a more laid back feel a snack bar counter was planned running parallel to the glass facade. This also doubled up as a work station area and also to have small discussions. The workstations were broken up into 12- seater longer tables and 8 seaters. Two medium size meeting rooms were planned that could be converted into one big conference room. Other than that one small dedicated meeting room was provided. The client also did not want a separate reception. Therefore a small seating area was created close to the entry.

















The formal of the interactions were to take place in these meeting rooms; keeping in mind the overall nature of the design we kept the meeting rooms visually open. The design was laid out in a manner so as to have the work place flow into the lounge area. While designing we planned for the sort of user movement that would happen throughout the day. During the start of the day most of them would be at their workstation that was located centrally. As the day transitioned the lounge would be preferred. Therefore the lighting was also designed accordingly. Any design is a success when you can functionally utilise as much of the available space. At the other end of the lounge was a small pocket of area that was not flowing into the overall planning. So we created a small pod there for one person to sit and work. We designed the door of the pod to resemble a phone booth. It worked both visually appealing and functionally. Similarly there were two columns in the centre of the site; we designed one of the workstations so the columns amalgamated with the design instead of standing out separately.

While designing we also kept in mind the branding of the company; we custom made the handle to the main door. On exiting from the lift one is welcomed by a solid door with the brand name; the logo is made in stainless steel and powder coated so as to have a dual purpose of being used as a handle as well as for their branding. The work stations were not to be a typical table instead we wanted the top to seem like floating. The work station top was made thicker and the legs staggered. It was a prerequisite to have a table which had to make the office look un-official. We opted for a lighter top and darker legs. The electric supply for each of the tables was taken from the ceiling. Instead of have wire managers we used a m.s. box section and welded them together to resemble an inverted branch. This branch was finished in different colours.

We customized the wallpapers to go with the colourfulness of the entire site. The fixed furniture colour palette was kept neutral and the playfulness was brought in through lights and loose furniture. The flooring was also chosen accordingly with a mix of patterns. The glass partition at the entrance; planned to block the washroom entries; have bands of colour.





# Art, Books & a home for 3



*Project and Construction by White Stuido's partners architects:*
*Chief architect: Jonathan Daifuku*
*Collaborating architect: Tatia Khutsishvili*
*www.whitestudio.ge*
*www.daifukudesigns.com*



Jonathan Daifuku:

"This is an example of an in-depth renovation and as such a complete change from what was before to what came after. We demolished everything; only the outer shell and load-bearing structure of the space was retained. We transformed a traditional bourgeois apartment of the early'60s into a modern, open-space plan. A four bedroom, a four bathroom layout with live-in servant's quarters became a three bedroom, two bathroom proposal with no live-in service. An unused terrace was turned into a lively, plant-filled space articulated for visual enjoyment from both within the apartment and outside, on the terrace proper"…

Technical Data sheet:

Complete refurbishment of a 200m2 space in Pedralbes, Barcelona

Masonry: Carlos Diaz Caballero

Carpintry: Josep Pladevall

Glass: Vidres Berni

Windows: Alurei – Minimal Windows - www.alurei.com

Metalwork: NexoAcer - www.nexoacer.com

Lighting: Carpyen - www.carpyen.com / Punto luz

Floor: Parquet: Parkhouse marca Bimbo / Stoneware: Acocsa /Bagno

HVAC: Air conditioning&ventilating: Iberclima / Heating: Bagno (Irsap)























ინტერიერი

INTERIOR

# კომფორტი სიმყუდროვეში



საცხოვრებელი ინტერიერი
მდებარეობა: თბილისი, თამარაშვილის ქუჩა
ავტორი: მაია წერეთელი

საცხოვრებელი ინტერიერის თანამედროვე გარემო არ არის მხოლოდ კომფორტული. იგი, განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმყუდროვით და გამომხატველობით გამოირჩევა და ტრანსფორმირდება რეალობაში. ინტერიერი, დიზაინერ მაია წერეთლის პროექტით შეიქმნა. მისი მოქნილი გეგმარება, დახვეწილი, დინამიური ფორმები, ფურნიტურითა და ლამაზი საგნებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი თავისებურად შთამბეჭდავია, რადგან მხოლოდ ესთეტიკურის აღქმით არ შემოიფარგლება. დიზაინში, დეტალები არაორდინალური ნიუანსებით გამოირჩევა და მთლიანობის გამომხატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. „მსუბუქ" ერთიანობაში საერთო ფერითი გამა დეკორატიული აქსესუარების ტონებითაა აქცენტირებული.

ნინო ლალიძე
ფოტო: რაფაელ არზუმანოვი











# Comfort in Coziness

*Residential interior*
*Location: Tamarashvili street, Tbilisi*
*Author: Maia Tsereteli*

The modern style of a residential interior is more than just comfortable. The place is cozy in a special way, transforming into the reality according to its own artistic laws. The interior was designed by designer Maia Tsereteli. Its flexible planning, refined and dynamic exterior forms and original interior, filled with beautiful furniture and accessories, convey some unique charm. Design details possess special expressivity, which increases the general originality of design. The space feels integral in spite of being divided by visible or invisible barriers; general color palette of the interior is accentuated by contrasting tones of accessories. It is very easy to imagine how pleasant day-to-day life in this house would be.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY: RAFAEL ARZUMANOV















# პაულანერის ფან კლუბი

არქიტექტორმა დიმიტრი თოფურიძემ საკუთარ პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, “პაულანერის ფან კლუბის”თანამედროვე დახვეწილი ინტერიერი შექმნა. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს მასში ფერის სიღრმეს და ინტენსიობას, ავსებს ექსტერიერს. საზოგადოებრივ სივრცეში წარმოქმნილ მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, მასში სიმსუბუქე შეაქვს.



სტილისტურ მთლიანობაში, სივრცის თითოეული მონაკვეთის ინდივიდუალურობა, ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება.. “პაულანერის ფან კლუბში”, რომელიც ახლახანს გაიხსნა თბილისში ნუცუბიძის ქუჩაზე, მხოლოდ მისთვის აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი სუფევს და მისი სტუმრების გემოვნებას მიესადაგება.

ნინო ლაღიძე





# Paulaner Fan Club







Interior of Paulaner Fan Club was created by Architect Dimitri Topuridze. Based on his professional experience, architect designed a refined modern interior with streamlined architectural graphics and original mosaic of shapes and volumes. A wide range of constructional and decorative elements visually increases the interior. Unexpected design strokes add lightness to this public space and highlight its comfortable planning. Various parts of the interior are markedly individual and functional, though not falling out of the general stylistic theme;The newly-launched Paulaner Fan Club is saturated with an atmosphere of warmth and serenity, offering the guests a material expression of taste and comfort.

NINO LAGHIDZE

# არქიტექტურული ფიგურის კონცეფცია

მდებარეობა: თბილისი, გლდანის მიკრორაიონი, ახმეტელის თეატრთან
ავტორი: ლაშა ჩოხელი



წარმოდგენილი ობიექტის ინტერიერული გარემოს თავისუფალი სივრცე ინდივიდუალურია და განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია. სისადავე, გეგმარების თავისუფლება და დინამიზმი არქიტექტორ ლაშა ჩოხელის კონცეპტუალური კრედოა. წინა პლანზე წამოწეული გამომხატველობითი არქიტექტურული ფიგურის კონცეფცია ესთეტიკურ ილუზიებთან ერთად უფრო ღრმა, დამოუკიდებელ აზრს და მნიშვნელობას მოიცავს.

ინტერიერის მიკროგარემო - დამოუკიდებელი მოცულობები - მათთვის დამახასიათებელი ფუნქციურობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ემოციური დატვირთვით აღიქმება, კონკრეტულ მიზანს ექვემდებარება, მაგრამ ამავე დროს სივრცის საერთო წყობასთანაა შეთავსებული. ესთეტიკური, ნატიფი ფორმის მნიშვნელობა მის რეალურობაშია განხორციელებული. ლაშა ჩოხელის მუშაობის დახვეწილმა სტილმა და გემოვნებამ სრულიად განსაზღვრა ინტერიერის სტილისტური მთლიანობა და ცხოვრების წესთან შესაბამისობა.

ნინო ლაღიძე









# The Conception of Expressive Architectural Image

*Location: Near Akhmeteli Theatre, Gldani district, Tbilisi*
*Author: Lasha Chokheli*

Interior of this residential is a free-flowing space with distinct individuality and precisely defined function. Simplicity, uninhibited planning and dynamism – these are the key principles which Architect Lasha Chokheli used in its work. The conception of expressive architectural image, forming the foreground of the design, is strengthened by aesthetic associations and deep connotations.

The interior consists of independent volumes bearing different emotional "colouring" depending on their functional specifics but efficiently merging into the general structure of the space. The importance of aesthetically valuable, refined forms is accentuated by the quality of their implementation. Lasha Chokheli's distinctive style and refined taste successfully defined individuality of the interior and integrated it into the surrounding life.

NINO LAGHIDZE



# “ARTINDUSTRIA” Craft & Design Fair

*Moma-Museum of Modern Arts in Tbilisi*
*27, 28, 29 may. 2016*

2016 წლის 27, 28, 29 მაისს ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ჩატარდა პირველი საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვა “ARTINDUSTRIA” Craft & Design Fair. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 60 - ზე მეტმა ქართველმა ხელოვანმა. მონაწილე ხელოვანების ნაწილს კარგად იცნობს საზოგადოება, ხოლო ზოგიერთი მონაწილემ კი პირველად გამოფინა საკუთარი ნამუშევრები ფართო აუდიტორიის წინაშე. გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობა ასევე მიიღეს სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა. მუზეუმის სივრცეში წარმოდგენილი იქნა სამკაულები, თიხისა და მინის, ლითონისა და ხის ნამუშევრები. ასევე ქსოვილები, ბატიკა, თექა, მინანქარი, ხელნაკეთი თოჯინები და სათამაშოები, სანათები და ავეჯი.

გამოფენის იდეა საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე გაჩნდა; საქართველოში გამოყენებითი ხელოვნება, გარკვეულწილად, მივიწყების მიეცა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ
















AT








კიდევ არსებობენ მაღალპროფესიონალი ხელოვანები, რომლებიც სასწავლო კურსების საშუალებით საკუთარ ცოდნას სხვებს უზიარებენ, გამოყენებითი ხელოვნების ბევრი დარგი საკმარისი პოპულარობით აღარ სარგებლობს. დიდი ხანია დაიხურა ფერადი მინის, აბრეშუმის და ფაიფურის წარმოების ქარხნები. ცალკეულ კერამიკოსებს, ხესა თუ ლითონზე მომუშავეებს, უჭირთ საკუთარი ნამუშევრების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა და რეალიზაცია. ამის გამო, ხშირად, ხელოვანი შეგნებულად “ივიწყებს” საკუთარ მოწოდებასა თუ შესაძლებლობებს და ცდილობს საკუთარი თავის სხვა მიმართულებით რეალიზებას. ჩვენ ვკარგავთ არა მხოლოდ ცალკეულ პროფესიონალებს, არამედ მთლიან დარგებს.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, DESIGNBUREAU-ს (ნია მგალობლიშვული, სოფო შევარდნაძე, ია ლიპარტელიანი), ასევე, თამუნა მგალობლიშვილს და ლანა ნიჟარაძეს გაუჩნდათ გამოფენის მოწყობის იდეა, რომელიც ფართო აუდიტორიას გამოყენებითი ხელოვნების საინტერესო და უნიკალურ მიმართულებებს გააცნობს. ხელოვანებს კი, საკუთარი ნამუშევრების წარდგენის საშუალებას მისცემს. დარგების გაცნობა და მოწონება ერთადერთი გზაა გამოყენებითი ხელოვნების და ცალკეული ავტორების მიმართ ინტერესის გაღვიძებისა.

ჩვენ გვჯერა, რომ მხოლოდ ერთობლივი - ჩვენი და თქვენი აქტიურობით, თანადგომითა და ხელშეწყობით გახდება შესაძლებელი ავაღორძინოთ უნიკალური დარგები, რომელიც საუკუნეების და წლების განმავლობაში საქართველოში განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევდა.

გამოფენის ოფიციალური გახსნა შედგა 28 მაისს 17.00 საათზე

DESIGNBUREAU
ARTINDUSTRIA








# ინოვაცია არქიტექტურაში 2016






არქიტექტურული ფორუმისა (Architectural Forum) და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) ერთობლივი ორგანიზებით, 21-25 მაისს, ღონისძიება"ინოვაცია არქიტექტურაში 2016" გაიმართა.

აღნიშნული ტიპის ღონისძიება საქართველოში უკვე მეორედ ტარდება. ღონისძიების მიზანია არქიტექტურის თანამედროვე, ინოვაციური ტენდენციების პოპულარიზაცია და აღნიშნული მიმართულებით, ქართველი სპეციალისტების ცოდნისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა. მნიშვნელოვანია ქართველი არქიტექტორების მიერ ინოვაციების დანერგვა არქიტექტურაში და შედეგად, პროცესების გაუმჯობესება.

დიდი ყურადღება დაეთმო არქიტექტურულ ვორქშოპს, რომლის ფარგლებშიც დარეგისტრირებულმა გუნდებმა მიიღეს კონკრეტულ თანხა ინსტალაციის შესაქმენლად. ქალაქ თბილისში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, წლევანდელი ვორქშოპის თემა შეეხო ურბანულ საკითხებს.

ვორქშოპის მონაწილეებს მიეცათ საშუალება ინსტალაციების შექმნის პროცესში გამოეყენებინათ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით შექმნილი სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში განთავსებული უახლესი ტექნოლოგიები, როგორებიცაა: ლაზერული მჭრელი, პროგრამირებადი ჩარხები სხვადასხვა ტიპის ზედაპირების დასამუშავებლად, 3D პრინტერები, 3D სკანერები და სხვა. ამ დანადგარების მეშვეობით, მათ შეძლეს საკუთარი პროექტების მატერიალიზაცია.

ვორქშოპს ხელმძღვანელობდა არქიტექტურული კვლევითი ორგანიზაციის "Appareil" დაფუძნებელმა, ლონდონის არქიტექტურული ასოციაციის კურსდამთავრებული და კატალონიის არქიტექტორთა კოლეჯის სრულუფლებიანი წევრი – Edouard Cabay. მისი პრაქტიკული საგანმანათლებლო მოღვაწეობა არქიტექტურული კვლევის სფეროში უკავშირდებაისეთ ქალაქებს როგორიცაა ტოკიო, ბრიუსელი, ბარსელონა და ლონდონი.

21 მაისს გაიმართა საჯარო დისკუსია, სადაც Edouard Cabay-მ და ქართველმა არქიტექტორებმა: ოთარ ნემსაძემ, ლენა კილაძემ, ნინო ლაღიძემ, დავით ასანიძემ განიხილეს ურბანული სივრცეების მნიშვნელობა და საზოგადოების როლი.

პირველად საქართველოში ვიდეომასალის სახით მოხდა თბილისის მნიშვნელოვანი თანამედროვე არქიტექტურული ობიექტების ასახვა დრონით, რომელიც წარმოგვიდგინა ბევრისთვის კარგად ცნობილმა Robbie RG commercial.

ვორქშოპის ფარგლებში, მომდევნო დღეებში, ტექნოპარკის ტერიტორიაზე მოეწყო არქიტექტურული ინსტალაციების გამოფენა.

პროექტის "ინოვაცია არქიტექუტრაში 2016" ფარგლებში GemFest ის ორგანიზატორებმა საკუთარ რჩეულ გუნდს გადასცეს ფესტივალზე დასასწრები ბილეთები.





















# Innovation in Architecture 2016



"Innovation in Architecture 2016" organized by Architectural Forum (AF) andGeorgia's Innovation and Technology Agency (GITA) will take place in Tbilisi during 21-25 of may.

With the great support of the Agency and Architectural Forum (AF), brand new project "Innovation in Architecture" was established In 2015.

The project has been completely new trend in the country. As there had been made couple of testing events in advance, interest from public and talent have been great, this lead the project to a complete success.

Architectural Forum was founded in 2012 by George Maisuradze and Co-founders, Elene Machaidze, Mariam Gvazava and Anna Gulisashvili.

The organizations presents the union of architects, which is aimed to involve adults in formation process of innovative ecosystem and raise architectural awareness in society.

It's the second time Tbilisi will host professional event in architectural field. The main goal of that activity is to popularize innovative ideas and trends towards architecture and at the same time to upgrade Georgian specialists knowledge and raise competitiveness among them. It's important to bring innovation in this field and to improve the processes including urban planning and design Georgia has been going through lots of years.

The projects is divided into several parts. Discussion, Presentations will be held on the very first day. Then the next three day will be fully dedicated to installation building process while the last day will cover presentations,closing/award ceremony. Different groups filled with Architects, Designers and engineers will have a great chance to compete and dedicate themselves to art within several days. During that period of time they will have to create architectural objects (Installations) representing a concrete topic.

While constructing they will have an amazing opportunity to fully absorb all the capabilities technopark offers including: 3D printing, Laser cutting e.c.

This year, the workshop will be directed by Edouard Cabay.

Edouard Cabay is a registered architect at the Catalan College of Architects in Spain and is graduated from the Architectural Association School of Architecture in London. After gaining professional experience in London, Tokyo and Brussels, he founded Appareil in Barcelona in 2011, an office developing architectural and research projects both in Spain and abroad.

Numerous award winning architect will also attend the project.

For the First time Architecturally significant buildings were captured by Videographer/Filmmaker Robbie RG commercial. The full video will be presented on the opening day of the project – on 21st of may.

Everyone is free to attend the Discussion part of the event on 21st of may at Technopark.













# საერთაშორისო არტ სოფელი უწერა

2015 წლის 25 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით ონის რაიონში, სოფელ უწერაში, განხორციელდა პროექტი სახელწოდებით „საერთაშორისო არტ სოფელი უწერა 2015". პროექტის მხარდამჭერია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამხრეთ კავკასიაში კერძო სექტორის განვითარების პროგრამა, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს სახელით ახორციელებს.

პროექტის კურატორი და ორგანიზატორი იყო არქიტექტორი და მხატვარი ანა ლაღიძე (კომპანია „არქიტექტურული ცენტრი"). ადგილობრივმა თემმა და ხელისუფლებამ პროექტი „საერთაშორისო არტ სოფელი უწერა" დამატებითი ღონისძიებების ორგანიზებით გაამდიდრეს, როგორიც არის: რაჭული ნაკეთობების ბაზრობა (თექის ტექნოლოგიის, ხის ნაკეთობების სადემონსტრაციო გამოფენები და ა. შ.), ადგილობრივი მეწარმეების, კულტურული მემკვიდრეობის, ტურისტული პროდუქტების გასაცნობი ტურები (ექსკურ-





სიები ახლადგაკვალულ ტურისტულ მარშრუტებზე). ამასთან ერთად, საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტომ ზემო რაჭაში ჩაიყვანა იაპონელების დელეგაცია, რომელიც უწერელ მეწარმეებს შეხვდა. შეხვედრა ფოლკლორული კონცერტით დასრულდა, რომელიც უწერის მდგრადი ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების ცენტრში გაიმართა და მასში ონის კულტურული ცენტრის მომღერალთა გუნდი და მოცეკვავეები მონაწილეობდნენ. პროექტის,, საერთაშორისო არტ სოფელი უწერა'' ფარგლებში ძირითადი საქმიანობა იყო საოჯახო სასტუმროების ექსტერიერების პროფესიონალური მოხატვა. ახლადმოხატულმა ფასადებმა ტურისტებისთვის საოჯახო სასტუმროების მიმზიდველობა გაზარდა.



გარდა ამისა, პროექტის მიზანი და კონცეფცია ითვალისწინებდა მხატვრების, ასევე ადგილობრივი მეწარმეებისა და ხელისუფლების ორგანოების დახმარებას, რომ მათ მომავალში დამოუკიდებლად შეძლონ მსგავსი ღონისძიებების გამართვა. პროექტის მთავარი მიზანი იყო ზემო რაჭაში ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების სტიმულირება. პროექტში „საერთაშორისო არტ სოფელი უწერა'' მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იქნენ ცნობილი პროფესიონალი მხატვრები სხვადასხვა ქვეყნიდან. ამგვარი პროექტი საქართველოსთვისაც სიახლეს წარმოადგენს.



ღონისძიების თითოეული დღის მთავარი ასპექტები და ძირითადი ელემენტები იყო: ზემო რაჭის ნაკეთობებისა და ადგილობრივი პროდუქციის ბაზრობა: თექის ტექნოლოგიისა და ხის ნაკეთობების სადემონსტრაციო გამოფენები (ერტ-ერთი მონაწილე ონის სამხატვრო სკოლა); ხელოვნება ბუნებაში: ხელოვნების ნაწარმოებების შექმნა ბუნების წიაღში; ხელოვნება ობიექტებზე: უწერის საოჯახო სასტუმროების ფასადების მოხატვა; ავეჯის რესტავრაცია/მასტერკლასი საოჯახო სასტუმროებში; მასტერკლასი ფოტოხელოვნებასა და ფოტოკონკურსი „მდგრადი ტურიზმი - უწერა 2015''; კონფერენცია თემაზე „ქალთა მეწარმეობის განვითარება სოფლად და მთიან რეგიონებში'' (რომელიც გაიმართა პროექტის „საერთაშორისო არტ სოფელი უწერა 2015'' პარალელურად).

მინდა ვისარგებლო შესაძლებლობით და მადლობა ვუთხრა GIZ-ს, მხატვრებს საქართველოდან და ბევრი სხვა ქვეყნიდან, ონის სამხატვროს კოლას,საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციას უწერის საოჯახო სასტუმროების მფლობელებს.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ
ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ ᲐᲜᲐ ᲚᲐᲚᲘᲫᲔ









# The International Arts Village Utsera 2015 Project

From July 25 through August 4, 2015 the project titled "International Art Village Utsera 2015" was held in the village of Utsera, Oni district. The project was supported by the Private Sector Development Programme South Caucasus implemented by Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) on behalf of the German Federal Ministry for Economic Cooperation and Development.

The project was curated and organized by architect and artist Ana Lagidze ("Architecture Center" company). The local community and local government enriched the International Arts Village Utsera project by organizing complementary events, such as: Racha crafts market (showcases for felt technology, wood work, etc.), some guided tours to local entrepreneurs, local cultural heritage, and local tourism products (hiking on newly developed trails). Besides, a delegation from Japan, who was guided through Upper Racha by Enterprise Georgia, met Utsera entrepreneurs. The meeting was followed by a folkloristic performance of the Oni Cultural Centre's choirs and dancers at the Utsera Center for Sustainable Tourism and Entrepreneurship Development.







A key activity of the International Arts Village project was the professional artistic decoration of guest house exteriors. The newly painted facades increased the attractiveness of the guest houses for tourists.

Besides, the aim and perspective of the project was to support artists as well as local entrepreneurs and the local authorities in becoming self-sustainable in holding similar events in the future. The project's overarching objective was to provide impulses for tourism and entrepreneurship development in Upper Racha. Well-known, professional artists from various countries were invited to take part in the "International Arts Village Utsera" project. The project itself is a novelty for Georgia.

The project by depicting major aspects of each day of the event. Key elements were: Art Outside: Creation of artwork in nature; Art On Site: Painting of artworks on Utsera's guest houses; Furniture restoration/master class at the guest houses; Photography master class; Side event: Photo contest "Sustainable Tourism Utsera 2015"; Side event: Upper Racha Crafts and Local Products Market: Showcase for felt technology and wood work (one of the participants – Oni Art School ). Side event: Conference on Women Entrepreneurship Development in Rural and Mountainous Areas.

I would like to take this opportunity to thank GIZ, Artists from Georgia and various other countries, the Oni Arts School, the Association of Photographers of Georgia, the guesthouse owners of Utsera.

ANA LAGIDZE ORGANIZER
AND CURATOR OF PROJECT





# სხვადასხვა ქვეყნის - ჩეხეთი, საქართველო, უკრაინა და იაპონია - ოთხი არტისტის ერთობლივი გამოფენები

12.08.2015. "ქალთა ფერები" ჯგუფური გამოფენა / 12.08.2015. ალმაატა, ყაზახეთი
01.09.2014. "Barvy ženy" ქალი მხატვრების საერთაშორისო გამოფენა. ქალაქი ოსტრავა. ჩეხეთი.
08.30.2014. საერთაშორისო გამოფენა "ქალთა ფერები " - Barvy ženy. პრაღა. ჩეხეთი.
მომდევნო ერთობლივი გამოფენა იგეგმება თურქეთში.




MARTINA TRCHOVA




TAKAKO MORISHITA

# Martina Trchova, Takako Morishita

The works of art of the Czech artist Martina Trchova is an amazing kaleidoscope of images of people and events. Diversity of themes of her works is extremely wide and comprises mainly works of linography. Paintings and linocuts by M. Trchova are expressive and intense; they instantly engage the viewer into a turmoil of life. The artist likes to experiment with toned paper for her linographic prints. Every colour reflects certain mood of a landscape or a personality trait of a portrait model. The exhibition also presents Martina's art diaries – a set of numerous sketches which literary show "travel notes" vividly expressing essence of what she has seen.

Japanese artist Takako Morishita creates abstract paintings. For T. Morishita each painting is an image of a moment, in which the author "sees" or "feels" the colour. All of her works represent emotions and feelings of the artist, indirectly expressed through a colour palette. Colour - vibration, colour - sound, colour - information. Works of Takako are appeasing. To create them and to view them both the artist and the viewers need to be engaged into a certain state of meditation.

# International Art Exhibitions of four artists from different countries - the Czech, Georgia, Ukraine and Japan

12.08.2015. Colours Of Women Group Exhibition/ 12.08.2015. Art Gallery - "White Royal" Almaty, Kazakhstan
01.09.2014. “Barvy ženy” The international exhibition female painters in the castle Hradec nad Moravici. Ostrava.Czech
30.08.2014.The international exhibition “Colours of Woman”. Barvy ženy. Prague. Czech.
The next exhibition of four female artists planned in Turkey



ANA LAGIDZE





LESYA DEMCHENKO




# Ana Lagidze, Lesya Demchenko

Georgian artist Ana Lagidze presents works made by using the felting and patchwork. Energy emanating from the works created by the hands of the artist is strongly reinforced by saturated colours of the wool. A. Lagidze certainly belongs to those young artists working with felt, whose works are distinguished by a pronounced individual style.

Artistic technique of Lesya Demchenko is unique. Ukrainian artist creates spectacular works made of packing cardboard by cutting out details which are then acrilic paints. Creative technique makes works of L. Demchenko similar to miniature, they impress by abundance of laboriously cut out details.

The works of four artists are unified by creative boldness, bright individuality and search for new creative solutions. Their works are full of freedom and faith in humanity and the world, where creative feminine desire strives for beauty.

გახსენება

REMEMBER

# Ketevan Kobakhidze
# ქეთევან კობახიძე



2016 წლის 21 მაისს გარდაიცვალა ქეთა კობახიძე. შესანიშნავი პიროვნება, პედაგოგი, არქიტექტორი









მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი



წლის სიმღერის
დაჯილდოება
ოქროს ტალღა
WWW.GOLDENWAVE.GE
FM-95.1
MUSIC BOX

# STYLE

სარეკლამო კომპანია



ქ. თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. №70ა
style_inbox@mail.ru
558 28-29-30